ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 27 მაისი, 2019 | №123 (8077) | ფასი: 60 თეთრი

გვ.7

სოსო გოგაშვილი თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალებაზე:

„მე არ ვყოფილვარ იქ და ბრძანება არ გამიცია“

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ბათუმში რუსეთის დროშები აუფრიალეს

გვ.3

„რა ფულით ჩაიყვანეს ზუგდიდში ნაციონალებმა 5.000 დამკვირვებელი?“

გვ.2

გიგლა ბარამიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ მათ ივანიშვილი აფინანსებდეს“

გვ.4

ხათუნა ლაგაზიძე: „ოპოზიცია საკუთარ პანაშვიდზე იმყოფება“

„შავგულიძის გამარჯვება გზავნილი იქნება ამომრჩევლისთვის, რომ ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია“

გვ.3

„პატიაშვილი ბერთუბნის სანაცვლოდ ბაქოს სამჯერ მეტ ტერიტორიას სთავაზობდა“

გიორგი ოთხმეზური: „ჩვენ არავისთვის არაფრის წართმევას არ ვაპირებთ. საუბარია ქართულ ძეგლებზე“

სამართალი გვ.7

„რუსთავი 2“-ს ბოდიშს ვუხდით, ნასვამები ვიყავით“

ჟურნალისტებზე თავდამსხმელები გირაოთი გამოუშვეს

მძღოლმა ხასაიამ გადახტომა მოასწრო

წალენჯიხაში ხევში გადავარდა სატვირთო, რომელსაც პოლიცია მისდევდა



ქურდულ სამყაროზე ცრუ ჩვენებისთვის 3 პირი დააკავეს

ეკონომიკა გვ.6



გიორგი ლომინაძე: „სამუშაოები, რომლებსაც სახელმწიფო ქმნის, სინამდვილეში დოვლათს ანადგურებს“

ნათია თურნავა: „საჭიროების შემთხვევაში ჭიათურაში ჩავალთ, მაგრამ ამ ეტაპზე ვთვლით, რომ პრობლემას თავად კომპანია იაზრებს“

რა იცვლება სესხის ამოღების პროცესში

თბილისის ბაგა-ბაღებს საკვები პროდუქტებით კომპანია „მზიური“ მოამარაგებს

ISSN 1987-9385

3 გაფიცული მაღაროელები ჭიათურიდან „ჯორჯიან მანგანეზის“ გაძევებას ითხოვენ

3 კახა კალაძე: „ზოგიერთი ტაქსის მძღოლი კონკრეტული პარტიის წევრია და მათი განცხადებები ჩემთვის საინტერესო არ არის“

7 საირმის ქუჩაზე მოსამართლის ჯიპი გაქურდეს

8 პერუში 8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

„რა ფულით ჩაიყვანეს ზუგდიდში ნაციონალებმა 5.000 დამკვირვებელი?“

გიგლა ბარამიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ მათ ივანიშვილი აფინანსებდეს“

შორენა მარსაგიშვილი

საიდან აქვს ყოფილ ხელისუფლებას ფული, რა თამაშს თამაშობენ „ოცნება“ და ნაციონალები, რას ვერ იყოფენ მმართველ გუნდში, რაზეა პასუხისმგებელი საზოგადოება, რატომ არ უნდა მიეცა ხალხს ხელისუფლებისთვის რუსთაველზე გამოსვლის უფლება და სად უნდა აღგვენიშნა დამოუკიდებლობის დღე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოსახლეობას მინდა მივულოცო დამოუკიდებლობის დღე. 26 მაისს არ ვულოცავ წუპაკმაისტერების ხელისუფლებას, ისინი ამის ღირსნი არ არიან. მათ არც იმის უფლება აქვთ, რომ ჯარისგან ერთგულების ფიცი მიიღონ და არც რუსთაველის გამზირზე უნდა იდგნენ.

26 მაისს განსაკუთრებულად ვულოცავ ჩვენს თანაპარტიელებს, რომლებმაც 2011 წელს თავი დადეს თავისუფლებისა და რეჟიმის მხილებისთვის. ჩვენს სისხლზე მოვიდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ და პირველი, რაც გააკეთა, იყო კოჰაბიტაცია იმ რეჟიმის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ქართველების სისხლი დაღვარეს.

ჩვენს სისხლზე მოსულმა ხელისუფლებამ მეორე, რაც გააკეთა, იყო ის, რომ ჩვენ გამოგვიცხადა ბრძოლა. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი „დემოკრატიული მოძრაობის“ წინააღმდეგ არის მომართული.

ძალიან კარგია, როცა დამოუკიდებლობის დღეს აღლუმები ტარდება, მაგრამ „ოცნების“ ხელში ამ აღლუმმაც კი კარიკატურის სახე მიიღო. თავად დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ზეიმს პროვინციული ელფერი დასდევდა. როდესაც კოლონიალური ფსიქიკის ხელისუფლება გყავს, იქ სხვას არც უნდა ელოდო.

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი როცა დაუკრეს, ყველა ტელევიზიამ საქართველოს დიდი მეგობარი სახელმწიფოს დროშა გამოაჩინა, ეროვნული დროშა საერთოდ არ ჩანდა. აი, ეს არის პროვინციალიზმი და კოლონიალური ფსიქოზი.

ეს შეფასება არც ჯარისკაცებსა და არც საზოგადოებას არ ეხება. ასეთი სახე მთავრობამ გამოავლინა.

მოდით, ისიც ვთქვათ, ვინ ჩაიბარა ჯარისკაცების ფიცი. იმ ადამიანმა ჩაიბარა, რომელიც ქართულად ვერ მეტყველებს. როგორ შეიძლება, ქვეყნის პრეზიდენტმა სახელმწიფო ენა არ იცოდეს.

მის ქართულს რომ ვუსმენ, ერთი ქართული ფილმი გამახსენდა, სადაც პერსონაჟი ამბობს, როდესაც მამამ პეტერბურგში წაგიღო, ქართული სულ დაგავიწყდა. აი, ასეთი ბაგაჟის ქალია მთავარსარდალი.

პრემიერად ის ადამიანი გვიზის, რომელმაც საკუთარი კეთილდღეობისთვის მშობელ დედას სასამართლოში უჩივლა. ჯარისკაცებისგან მანაც მიიღო ფიცი.

ჯარისკაცებისგან ფიცი მიიღო კულულებიანმა ორფეოსმა – პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც კანონების წერის ნაცვლად გიტარას ატრიალებს.

თავის გამოსვლაში ე.წ. მთავარსარდალმა გიორგი მერჩულე მოიხსენია, შე კაი დედმამიშვილო, ისტორია თუ გახსოვს, იმაზე რატომ არ რეაგირებ, დავითგარეჯში ისტორიას რომ გართმევენ.

ჯარისკაცები რუსთაველის გამზირზე კი არ უნდა დაეყენებინათ არამედ იქ, საიდანაც საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიები ჩანს. ნაწილი დავითგარეჯში წაეყვანათ და იქ დაედოთ ფიცი.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთიც უნდა ვკითხო ამ ქარაქუცა, წუპაკმაისტერ ხელისუფლებას, თქვენ რომ ზეიმობდით დამოუკიდებლობის დღეს, სად იყო ხალხი?!

– ხალხის არყოფნა თვალშისაცემი და უსიამოვნო სანახავი იყო. რატომ მოიქცნენ ასე?

– იმიტომ, რომ წუპაკმაისტერები არიან. საგანგებოდ მოწყობილ ტრიბუნებზე მარტო ხელისუფლების წარმომადგენლები ისხდნენ. კიდევ იმ პარტიის ლიდერები ჰყავდათ მიწვეული, რომელმაც 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირი ქართველების სისხლით მორწყა.

იმან, რაც 26 მაისს ვნახეთ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ამ ხელისუფლებას არაფერი აქვს სახელმწიფოებრივი და პატრიოტული. ისინი არც პროფესიონალიზმით გამოირჩევიან და ასეთი ცრუქაქუნობით აპირებენ ფონს გასვლას.

ეს ყველაფერი არის ჩვენი ბრალი. დავითგარეჯი რამდენიმე აქტივისტის ამარა არ უნდა დაგვეტოვებინა, ყველას გვეხუვლა და რუსთაველზე მივსულიყავით. ჯარისკაცებისთვის გვეთქვა, თქვენ ჩვენი შვილები ხართ, მაგრამ ცოტა ხანს გაჩერდით, ნატოს დროშების ფრიალს მერეც მოასწრებთ.

ჯარისკაცების ადგილი ხალხს უნდა დაგვეკავებინა, დავმდგარიყავით ტრიბუნებთან და ამ სამი ვითომ ლიდერისთვის მოთხოვნა წაგვეყენებინა, გვეთქვა, აქ რა გინდათ, იქ რატომ არ ხართ, სადაც საქართველოს უჭირს.

უკვე რამდენი დღეა, რაც ჭიათურაში მაღაროელები შიმშილობენ. ზოგიერთმა მათგანმა პირიც კი ამოიკერა. ჭარბწონიანი ჩინოსნები კიდევ რუსთაველზე, ჩვენ მიერ დაღვრილ სისხლზე ღიპგადმოგდებულები დგანან და აღლუმს იბარებენ.

აი, ეს უნდა გაგვეკეთებინა და სანამ ხალხი არ ვიაქტიურებთ, ესენი უარესს იზამენ. ერი, რომელიც ირჩევს თახსირ ხელისუფლებას, ის ამ ხელისუფლებისგან კი არ ზარაღდება, არამედ მისი თანამონაწილეა. ჯერჯერობით ამ სითახსირის თანამონაწილეები ვართ.

რუსთაველის გამზირიდან ნაციონალები სულ კინწისკვრით უნდა გამოგვეყარა. ადრე გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ, ახლა უკვე ტრიბუნებზე სხედან. არაერთხელ მითქვამს, რომ „ოცნებასა“ და ნაციონალებს ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ – ერთმანეთს აცოცხლებენ. ერთად რომ არ იყვნენ, ზუგდიდში სანდრა რულოვსი 42%-ს ვერანაირად ვერ აიღებდა.

მივმართავ ხელისუფლებას, რასაც თქვენ არჩევნებზე ნაციონალებთან ტყუილ ჯაჯგურში ხარჯავთ, ამის 10% ქვეყნის სასარგებლოდ რომ დაგეხარჯათ, არც მცოცავი ანექსია იქნებოდა, ხალხს ჩვენი ტერიტორიებიდან ვერ გაიტაცებდნენ და არც ისტორიულ ძეგლებს წაგვართმევდნენ.

იმ ქვეყნის რა ვთქვი, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრი არის მოსიარულე კრეტინი. არ მინდა, ადამიანების მიმართ ასეთი შეფასებები გამოვიყენო, მაგრამ ზალკალიანი სხვა გამოსავალს არ მიტოვებს.

საგარეო საქმეთა მინისტრს ეკითხებიან, დავითგარეჯში რა ხდებაო და ის ამბობს, მედიით გავიგე, რომ იქ თურმე გზა გაჭყავთო.

– ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს ამბავი მინისტრმა სამი დღის დაგვიანებით გაიგო.

– მაგიტომ ვამბობ, რომ იმ ქვეყნის რა ვთქვი, რომელსაც ასეთი კაცი ეყოლება საგარეო საქმეთა მინისტრად.

– ზემოთ ახსენეთ ზუგდიდი. პოლიციამ დამოუკიდებლობის აღნიშვნა იქ გადაწყვიტა და მათი მინისტრი გახარიაც იქ იყო. ამას რაიმე სიმბოლური დატვირთვა აქვს თუ ეს სიახლე „ოცნებაში“ არსებულ უთანხმოებას უკავშირდება?

– არ მესმის, რატომ უნდა აღნიშნოს პოლიციამ დამოუკიდებლობის დღე ცალკე. გახარიამ რამე ცალკე ავტონომია შექმნა თუ რა ხდება? შეიძლება, შს მინისტრი პოლიციელებს ფიცის დადების ნაცვლად საყელოს აწევას ასწავლის, ანდა შეიძლება იმის კურსებს გადიან, თუ როგორ ჩააპაჭუნონ სინქრონულად, ერთად თვალი.

მე არ მესმის, რატომ უნდა აღნიშნოს პოლიციამ ცალკე დამოუკიდებლობის დღეს. ასეთი იდეა მხოლოდ „ოცნების“ გენიოსურ ტვინებში შეიძლება მოიხარშოს.

ამ განცალკევების მთავარი მიზეზი ის დაპირისპირებაა, რომელიც მმართველ გუნდშია.

– თავად ამბობენ, რომ მათ შორის დაპირისპირება არ არის.

– რაც არ უნდა იხუნტრუცონ და იუარონ, გეუბნებით, რომ მათ შორის სერიოზული უთანხმოებაა, მარტო უთანხმოება კი არ არის, არამედ ჭამენ ერთმანეთს.

ცალკე არის გახარიას გუნდი, რომელსაც უნდა, რომ ყველაფერთან ერთად სუსიც გააკონტროლოს. მის საპირწონედ დგას კალაძე-კობახიძის კლანი, რომელსაც ფინანსური რესურსების ხელში ჩაგდება სურს. აი, ამაზე ჭამენ ერთმანეთს.

ისე უქნიათ, ერთმანეთი დაუჭამიათ და პოლიტიკურ მოუსავლეთში წასულან, მაგრამ, ისაა ცუდი, რომ ეს დაპირისპირება ქვეყანას აზარალებს.

ერთმანეთში ვერ მორიგებულან და სოხუმ-ცხინვალს მიმართავენ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით. რატომ არ ფიქრობენ, იმ აფხაზ და ოს ძმებს უნდათ ისეთ საქართველოში დაბრუნება, როგორიც მათ ზუგდიდის არჩევნებში ნახეს. ქალიან-კაციანად ტანსაცმელი ჰქონდათ შემობდღვნილი და ერთმანეთს მკვდარ-ცოცხალს აგინებდნენ.

ამ არჩევნებმა დამატებითი კითხვებიც გააჩინა – ამისთანა რა სახსრები აქვს დამნაშავე რეჟიმს, რომ როცა დასჭირდათ მარტო ერთ ქალაქში (ზუგდიდს ვგულისხმობ) 5.000 დამკვირვებელი ჩაიყვანეს. ჰქონდათ 200-მდე დრონი და 150-200 ღაივ-კამერა.

– თქვენი აზრით, საიდან ჰქონდათ მათ ამ ყველაფრისთვის საჭირო სახსრები?

– არ გამოვრიცხავ, რომ მათაც ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდეს.

– ეს ვერსია უკვე აქტიურად განიხილება, მაგრამ, ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დააფინანსოს ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობა?

– იმიტომ, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ. ისინი ერთმანეთს ამაგრებენ. მათი ეს დაპირისპირება გაგრძელდება მანამ, ვიდრე ხალხი აზრზე არ მოვალთ. 26 მაისს რომ მივსულიყავით და ის ლიქნის აღლუმი ჩაგვემწარებინა, ამას ვეღარ გაბედავდნენ. ვიცი, ამას კუდებს გამოაბამენ, ამიტომ განვმარტავ, რომ მხედველობაში აღლუმის ჩაშლა არ მაქვს. უნდა მივსულიყავით და გვეთქვა, რომ მათ 26 მაისის აღნიშვნის უფლება არ აქვთ.

26 მაისი არის ხალხის მონაპოვარი, ეს დღე ხალხმა უნდა იზეიმოს და არა გააზნაურებულმა მდაბიოებმა და მათთან კოჰაბიტირებულმა ნაციონალებმა.

– ამ ორი ძალის კოჰაბიტირება ალბათ მანამდე გაგრძელდება, სანამ მესამე ძალა არ გამოჩნდება. მესამე ძალა კი არ ჩანს. 2012 წელს მესამე ძალად „დემოკრატიული მოძრაობა“ მოიაზრებოდა, მაგრამ მერე თქვენ ვერ გაქაჩეთ.

– ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი პარტია მესამე ძალა არ გამხდარიყო. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავე რეჟიმი გაესამართლებინათ, ჩვენ დაგვიწყეს დევნა. სააკაშვილის ხელისუფლებაც გვდევნიდა, მაგრამ მისი დასასრულის მიზეზი მერე ჩვენ გავხდით. „ოცნებამ“ ძალიან კარგად იცის ჩვენი შესაძლებლობები. ამიტომაც არის, რომ ჩვენს სისხლზე მოსულმა ხელისუფლებამ ჩვენ გამოგვიცხადა ბრძოლა.

ამის საპასუხოდ „დემოკრატიული მოძრაობაც“ აქტიურდება და ძალიან სერიოზულად ვემზადებით არჩევნებისთვის. აქ პარლამენტში მოხვედრაზე არ არის მარტო საუბარი, ამათთვის

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ჩვენს სისხლზე მოვიდა“

ქვეყნის დათმობა უკვე დანაშაულის ტოლფასია. ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

სხვა პარტიებისგან განსხვავებით, არც დავშლილვართ, არც ამომრჩეველი მოგვიტყუებია და არც ხელისუფლებასთან შევსულვართ გარიგებაში.

– შეიძლება, ხელისუფლებასთან გარიგებაში არ შესულხართ, მაგრამ თქვენს პარტიას აქვს ერთი სერიოზული დამღა – პრორუსული. ამ დამღით როგორ აპირებთ ამომრჩევლის გულის მოგებას?

– ჩვენი პარტია არ არის პრორუსული. ეს „დემოკრატიულ მოძრაობას“ ნაციონალურმა მოძრაობამ დააბრალა და „ქართული ოცნება“ იმავეს იმეორებს. პრორუსულებს გვეძახიან, მაგრამ ვერ აკონკრეტებენ, თუ რით გამოიხატება ჩვენი პრორუსულობა.

– თქვენი პარტია მხარს უჭერს რუსეთთან დიალოგს, თქვენი ლიდერი მოსკოვში მართავს შეხვედრებს.

– ეს არ ნიშნავს, რომ პრორუსულები ვართ. ჩვენი მთავარი გზავნილი ასეთია – ენა, მამული, სარწმუნოება. ჩვენ არსად არ განგვიცხადებია, რომ მხოლოდ რუსეთთან უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა. „დემოკრატიული მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ ყველასთან დაბალანსებული ურთიერთობა უნდა გვქონდეს.

სპეცსამსახურების უმეტესობა მეძავის პრინციპით მოქმედებს. სხვებს აბრალებენ იმას, რასაც თავად წარმოადგენენ. მაგალითისთვის, მეძავი წესიერ ქალს რომ დაინახავს და თავისი საქმიანობის გადასაფარად მას დაუწყებს მეძავო, მეძავოს ძახილს. აი, ამ მეძავის პრინციპით მოქმედებენ ნაციონალური მოძრაობა და ეს მკვდარი „ქართული ოცნება“.

მინდა, იცოდნენ ამ მეძავის პრინციპებზე დაფუძნებულებმა, რომ ჩვენ ახლო მომავალში სტრასბურში, ბრიუსელსა და ვაშინგტონშიც ვაპირებთ შეხვედრებს, ნინო ბურჯანაძეს ბევრად მეტ ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსთან აკავშირებს ნაცნობობა, ვიდრე ერთად აღებულ „ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას.

ასეთი გავლენიანები თუ არიან, რატომ ვერ ახერხებენ ჩვენი ისტორიული ძეგლის – დავითგარეჯის დაცვას. რატომ ვერ უბედავენ აზერბაიჯანს ისე დაელაპარაკონ, როგორც ტოლი ტოლს.

– ერიდებიან სტრატეგიული პარტნიორის გაღიზიანებას. ეშინიათ, გაზის მოწოდება არ შეგვიწყვიტოს.

– სოკარის შიშით ჩვენი ისტორია უნდა დავთმოთ? ან საიდან მოიტანეს, რომ აზერბაიჯანზე ვართ დამოკიდებული. იქნება ბაქოს უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე ჩვენ ისინი? ვთქვათ და შეგვიწყვიტა გაზის მიწოდება, მერე სად წაიღებენ ამ გაზს? სამეზობლოში ყველა ქვეყანას თავისი გაზი აქვს. მათ საქართველო ნავთობის ტრანზიტისთვისაც სჭირდებათ.

საქართველოს ხელისუფლებას საკმარისზე მეტი ბერკეტები აქვს იმისთვის, რომ საკუთარი ისტორია დაიცვას.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პატიაშვილი ბერთუბნის სანაცვლოდ ბაქოს სამჯერ მეტ ტერიტორიას სთავაზობდა“

გიორგი ოთხმეზური: „ჩვენ არავისთვის არაფრის წართმევას არ ვაპირებთ. საუბარია ქართულ ძეგლებზე“

ნათია ხურცილავა

ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და კომისიის მუშაობაზე საუბრობს.

– ბატონო გიორგი, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, საზღვრის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაიწყო. როგორია თქვენი მოლოდინი?

– კომისიამ დაიწყო მუშაობა და პარალელურ რეჟიმში ესკალატორები მუშაობენ, რაც ძალიან შემაშფოთებელია. რა გამოდის, ჩვენთვის სულ ერთია, უკან არ დავიხევთ?! ასეთია აზერბაიჯანული მხარის განწყობა?! სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, კომისიის მუშაობის პარალელურ რეჟიმში რა საჭირო იყო ეს სამუშაოები?! ეს რა გზავნილია?!

თავის დროზე ისე მოხდა საზღვრების გადანაწილება, რომ ბერთუბანი აზერბაიჯანის მხარეს მოექცა. ბერთუბანი ნამდვილად არის რამდენიმე კილომეტრით შეწეული. ჩვენ აზერბაიჯანთან ბერთუბნის საკითხი ნამდვილად გვაქვს გადასაწყვეტი. ნამდვილად უნდა მოხდეს მოლაპარაკებები, ან ალტერნატიული ტერიტორიის შეთავაზება, ან რაღაც ისეთი, რომ საქართველოს შემადგენლობაში უნდა მოექცეს ბერთუბანი.

ამ შემთხვევაში, კი ბატონო, აზერბაიჯანს უნდა ვთხოვოთ. დანარჩენ შემთხვევაში ჩვენ აზერბაიჯანთან არაფერი გვაქვს სათხოვნელი, რადგან საუბარია მე-6 საუკუნის ქართულ მართლმადიდებლურ ძეგლებზე, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე. ამ შემთხვევაში არ მესმის, რატომ ხდება ასეთი გაჭიანურება.

1987-88 წლებში შეიქმნა კომისია, რომელიც მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე. მაშინ ჯუმბერ პატიაშვილმა კომისიას უთხრა, ბერთუბანი მოგვცენ და სამ იმდენ სასოფლო-სამეურნეო მიწას მივცემთო. ერთი სიტყვით, მიწების გაცვლაზე იყო საუბარი. თუმცა, მაშინ, მოგეხსენებათ, რა რთულ წლებზეა საუბარი და კომისიას მუშაობა არც კი დასცალდა.

– აზერბაიჯანი ამბობს, რომ ტერიტორიული მთლიანობა არის ის საძირკველი, რომელსაც ეფუძნება აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობა.

– გასაგებია, მაგრამ ჩვენ არავისთვის არაფრის წართმევას არ ვაპირებთ. საუბარია ქართულ ძეგლებზე, ქრისტიანულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომლის შესახებ პრეტენზიას ვერავინ გამოაცხადებს, გარდა ქართველებისა და საქართველოს სახელმწიფოსი. კეთილი უნდა ინებოს აზერბაიჯანმა და უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს უძველეს კულტურულ და რელიგიურ ცენტრზეა საუბარი, რომელსაც ვერავის



დავუთმობთ.

მე მეგობრობა და პარტნიორობა ორმხრივი გამიგია და არა – ცალმხრივი. ცალმხრივი პარტნიორობა არ არსებობს. ამიტომ, აზერბაიჯანმა ამაზე უნდა იფიქროს. უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ ექცევა საქართველოს სახელმწიფო მართალია, ჩვენს მოქალაქეებს, მაგრამ აზერბაიჯანული წარმომავლობის მოქალაქეებს, რომლებსაც არავითარი შეზღუდვა არ აქვთ არც მეჩეთთან და არც სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით.

მე მაინც ვფიქრობ, რომ უდაბნოს მონასტერთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ უნდა შეიქმნას. უდაბნოს მონასტრის გარშემო კითხვაც კი არ უნდა დაისვას!

რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლი ქართველებისთვის დავითგარეჯი?! ჩვენთვის რელიგიური და კულტურული ცენტრია დავითგარეჯი. საქართველოში პირველი სამონასტრო ცხოვრება რომ დაიწყო, როდესაც პირველად 13 ასურელი მამა ჩამოვიდა, ერთერთი მათგანი, დავითი, ჯერ მთაწმინდაზე ასულა, იმიტომ ჰქვია იმ ტაძარს მამა დავითი, შემდეგ ქაშვეთის ტაძარი ააშენა. ამის შემდეგ დავითი თავის მოწაფეებთან ერთად გადასულა გარეჯში და იქ დაუწყია სამონასტრო ცხოვრება.

მე-9 საუკუნეში იქ მოღვაწეობდა ილარიონ ქართველი. დავითგარეჯს დიდი პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ეს სამეფო მონასტერი იყო, ეს ჩვენი ისტორიაა. ჩვენი კულტურა, ჩვენი რელიგია პირდაპირ დაკავშირებულია დავითგარეჯთან.

– ეს პრობლემები არასწორი პოლიტიკის შედეგია?

– რა თქმა უნდა, არასწორი პოლიტიკის შედეგია. 2.000 მეჩეთია საქართველოში აშენებული დამოუკიდებლობის შემდეგ. დღეს ჩვენ ამ პრობლემას ვაწყდებით აზერბაიჯანთან. საბჭოთა კავშირის დროს პირობითი საზღვრები იყო გავლებული. ეს არ არის რეალური საზღვარი. ამიტომ ძალიან ბევრი და დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი.

– როგორია თქვენი რჩევა ხელისუფლებისადმი ამ საკითხის ირგვლივ?

– ძალიან საინტერესოა, ვინ არიან კომისიის წევრები. არიან იქ ისტორიკოსები, კარტოგრაფები?! ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ბევრი რამის დამტკიცება სწორედ ისტორიკოსებმა, კარტოგრაფებმა, სპეციალისტებმა უნდა შეძლონ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ბათუმში რუსეთის დროშები აფრიალეს

ამის გამო აჭარის განათლების მინისტრი ინგა შამილიშვილი მოხსნეს

შორენა მარსაგიშვილი

ასეთი კურიოზული 26 მაისი საქართველოს კარგა ხანია არ ჰქონია.

1997 წელს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე ბეტეერი პირდაპირ მთავრობის წინ ჩაქრა. ქართული ერის არმცოდნე თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ კი დამოუკიდებლობის დღე, როგორც უდღეური დღე, ისე მოიხსენია.

გუშინ არც სამხედრო ტექნიკა გამოსულა მწყობრიდან და არც უდღეური დღესასწაულიო, უთქვამთ 26 მაისზე, მაგრამ ბათუმში რუსული დროშები აგვიფრიალეს, იმ ქვეყნის დროშებით მოაწყვეს მსვლელობა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული.

ბათუმში რუსული დროშები და ტრანსპარანტები წარწერით ღ შშl მაშინ გამოჩნდა, როცა ქალაქის ცენტრში დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდნენ.

რუსეთის დროშებით აღჭურვილებმა ბათუმის ცენტრალურ ქუჩაზე ამაყად ჩაიარეს.

მერე გაირკვა, რომ ეს უცნაური მსვლელობა როსტოვიდან ჩამოსულმა ანსამბლმა გამართა, რომელიც ბათუმში, სხვა ანსამბლებთან ერთად, ფესტივალის ფარგლებში იმყოფება.

როსტოვული ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელის თქმით, მისთვის ცნობილი იყო, თუ რას ზეიმობს საქართველო 26 მაისს და ისინი ბათუმში ფესტივალის ორგანიზატორის მოწვევით ჩამოვიდნენ.

აღნიშნული ფესტივალი აჭარის განათლების სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული და

ეს ფესტივალი აჭარის განათლების მინისტრისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

რუსეთის დროშების ფრიალს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ხელისუფლებამ დამატებით შარში გახვევას მინისტრის გაწირვა ამჯობინა. აღშფოთებულ ერს ამის შესახებ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ამცნო.

– პირველ რიგში, მინდა მივულოცო ყველას დღევანდელი დღე. ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ ამ დღისთვის, თუმცა თავისუფლებისთვის ბრძოლას დღეს ისევ ვაგრძელებთ. რაც შეეხება დღევანდელ მსვლელობას, პასუხისმგებლობის ნაწილი ეკისრება აჭარის განათლების სამინისტროს, ამიტომ მინისტრი ინგა შამილიშვილი

თანამდებობიდან გადაყენებულია, – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

ინციდენტის გარეშე არც თბილისური ზეიმი ჩატარებულა. ძლიერმა ქარმა 26 მაისის თაღი დაშალა.

ქართული მარშის ლიდერ სანდრო ბრეგაძის მტკიცებით, კინაღამ ჩამოიშალა სცენა. მისი განცხადებით, ეს იყო ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელი, რომლითაც ბუნებამ გეიაღლუმის ხელშემწყობი და დავითგარეჯის გამყიდველი ხელისუფლება დასაჯა.

კიდევ უფრო სერიოზული ინციდენტი მოხდა თელავში. იქ სცენა მართლა დაეშალათ. კიდევ

კარგი, ეს კონცერტის დაწყებამდე მოხდა და არავინ დაშავებულა.

ლეიბორისტული პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკა ვარდოშვილი მომხდარში ხელისუფლების წარმომადგენლებს ადანაშაულებს.

– ჩემი თვალით დავინახე, რომ სცენას კახეთის გუბერნატორის მოადგილე ბენედიქტა და თავისი უფროსი აჭანჭყარებდნენ, ეს კრიშამოცურებულები, – აღნიშნა ვარდოშვილმა.

მისი ეს ხუმრობა „ოცნების“ კახურმა ფრთამ სერიოზულად მიიღო და ისინი სერიოზული სახეებით ამტკიცებდნენ, რომ ბენედიქტასა და მის უფროსს სცენა არ შეუნძრევიათ.

კახა კალაძე: „ზოგიერთი ტაქსის მძღოლი კონკრეტული პარტიის წევრია და მათი განცხადებები ჩემთვის საინტერესო არ არის“

დედაქალაქის მერ კახა კალაძის განცხადებით, თბილისის მერიამ ტაქსის მძღოლებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, მთელი რიგი დათმობები განახორციელა.

კახა კალაძე ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ საინიციატივო ჯგუფებთან შეხვედრა არაერთხელ გამართა და ამის ფონზე ცვლილებებიც განახორციელა.

– ჩვენ რომ გავყოთ, არსებობენ რეალური ტაქსის მძღოლები, რომელთაც შექმნილი აქვთ საინიციატივო ჯგუფები და ჩვენ არაერთი შეხვედრა გავმართეთ მათთან, მთელი რიგი ცვლილებები განვახორციელეთ მათი მოთხოვნით. არსებობს მეორე, ე.წ. ტაქსის მძღოლები, რომლებიც კონკრეტული პარტიის წევრები არიან, ეს არის ლეიბორისტული პარტია, ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“. მათი განცხადებები ჩემთვის საინტერესო არ არის, ვინაიდან პოლიტიკურ შინაარსს ატარებს.

რაც შეეხება რეალურად ტაქსის მძღოლებს, რომლებსაც გარკვეული პრობლემები

ჰქონდათ, მათ მიმართ მთელი რიგი დათმობები განვახორციელეთ. ეს არის ის, რომ მარჯვენასაჭიანებს 2021 წლამდე მივეცით შესაძლებლობა, „ბ“ კატეგორიაში გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა. ასევე, გადაღებასთან დაკავშირებით იყო პრობლემები და აქაც შემოვიღეთ ფირის გადაკვრის შესაძლებლობა და უკვე ასამდე მძღოლმა ისარგებლა ამ სერვისით. გარდა ამისა, ვინც 10 ოქტომბრამდე ვერ მოასწრო დარეგისტრირება და შემდეგ არის დარეგისტრირებული, მათაც მივეცით შესაძლებლობა, მიიღონ ვაუჩერები. ასევე, პირველი იანვრის შემდეგ დარეგისტრირებულებსაც, ვისაც 15 წელზე ახალი მანქანა ჰყავს, მივეცით შესაძლებლობა, ისარგებლონ როგორც გადაკვრისა და შეღებვის, ასევე ქიმწმენდის ვაუჩერით, – განაცხადა კალაძემ. IPN

გაფიცული მაღაროელები ჭიათურიდან „ჯორჯიან მანგანეზის“ გაძევებას ითხოვენ

გუშინ, 26 მაისს, ჭიათურაში გაფიცულ მაღაროელებსა და „ჯორჯიან მანგანეზის“ წარმომადგენლებს შორის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.

მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რის გამოც მაღაროელებმა შეხვედრა დატოვეს და კომპანიის ჭიათურიდან წასვლა მოითხოვეს.

მათ ქალაქში კომპანიის წასვლის მოთხოვნით მსვლელობა მოაწყვეს.

მაღაროელების განცხადებით, გაფიცვა და შიმშილობა გრძელდება, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

ჭიათურაში მაღაროელები მეათე დღეა, შიმშილობენ. გუშინ ერთ-ერთი მოშიმშილე შეუძლოდ გახდა და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მკურნალობის შემდეგ კი კვლავ კარავში დაბრუნდა და შიმშილობა გააგრძელა.

გაფიცულები ხელფასების გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ.

IPN

ხათუნა ლაგაზიძე: „ოპოზიცია საკუთარ პანაშვიდზე იმყოფება“

იაგო ნაცვლიშვილი

19 მაისს საქართველოს რამდენიმე რეგიონში მერებისა და საკრებულოს წევრების შუალედური არჩევნები გაიმართა, ყველგან მმართველმა გუნდმა გაიმარჯვა. შუალედური არჩევნები გაიმართა თბილისშიც, მთაწმინდის საარჩევნო ოლქში პარლამენტის მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატის გამოსავლენად. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ოპოზიციური კანდიდატი შალვა შავგულიძე მეორე ტურში გავიდა.

რა სურათი გამოიკვეთა ამ არჩევნებით, რამდენად არის რევოლუციური განწყობა ქვეყანაში და რას უნდა ველოდოთ 2020 წლის არჩევნებისთვის? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– მოვისმინეთ თქვენი შეფასებები, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთი ვადით დარჩება ხელისუფლებაში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– ეს არჩევნები იყო ოპოზიციისთვის სილის შემოლაწუნება ამომრჩევლის მხრიდან. ამდენ საარჩევნო ოლქში გაიმართა არჩევნები და, გარდა მთაწმინდისა, ვერსად ვერ შეძლო ოპოზიციამ ხელისუფლების მეორე ტურში გადაყვანა – არჩევნებმა აჩვენა, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლო საარჩევნო უბნებზე საპროტესტო ელექტორატის გამოყვანა.

თითოეულ საარჩევნო უბანზე ოპოზიციის ბევრი კანდიდატი იყო წარმოდგენილი. ამ არჩევნებზე მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის დამარცხების წარმოჩენა სრულფასოვან სურათს ვერ ხატავს და მთელმა ოპოზიციამ უნდა გაიაზროს, რა სჭირს. იმით თავის მართლება, რომ ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსებს იყენებს, ამომრჩევლის მოსყიდვით არის დაკავებული, ძალადობის ფაქტებია და ა.შ. გამართლებული არ არის. ეს სურათი იყო ადრეც, მაგრამ, ამის მიუხედავად, 2003 წელს შეძლო სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლა, ხოლო 2012 წელს ივანიშვილმა შეცვალა ხელისუფლება სწორედ არჩევნების გზით.

„თუ იმას იძახი, რომ მოისყიდეს, გამიყალბეს და ა.შ. შემდეგ და შემდეგ არჩევნებზე უფრო და უფრო ნაკლები ხალხი მოვა. ამ მოცემულობიდან უნდა ამოხვიდე, თუ გამარჯვებისთვის იბრძვი. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ოპოზიციის მარცხის, ამას ემატება დაქსაქსულობა“

ის, რომ ხელისუფლების ხელშია ადმინისტრაციული თუ სხვა რესურსები, არის მოცემულობა და ამის საპირისპიროდ უნდა დაგეგმოს თავისი ტაქტიკა ოპოზიციამ. თორემ, გამოდის რა? განსაკუთრებით 2015 წლის შემდეგ ვუყურებთ, თავში ხელებს როგორ იშენს ოპოზიცია და თავისი რიტორიკით ამტკიცებს იმას, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელია. ოპოზიციამ ამომრჩეველი უნდა დაარწმუნოს, რომ არჩევნებზე მისვლას აზრი აქვს, თორემ გამოდის, რომ ამ თავისი უუნარობით ოპოზიცია თვითონ მოუწოდებს ამომრჩეველს, საარჩევნო უბანზე არ მივიდეს. ამის შედეგი დაიდო კვირას.

თუ იმას იძახი, რომ მოისყიდეს, გამიყალბეს და ა.შ. შემდეგ და შემდეგ არჩევნებზე უფრო და უფრო ნაკლები ხალხი მოვა. ამ მოცემულობიდან უნდა ამოხვიდე, თუ გამარჯვებისთვის იბრძვი. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ოპოზიციის მარცხის, ამას ემატება დაქსაქსულობა.

უმნიშვნელოვანესია მთაწმინდის მეორე ტურის არჩევნები, რომელიც ოპოზიციას შეეძლო ექცია ძალიან კარგ ტესტად და რეპეტიციად, თუ გამოიყენებდა იმ გზას, რაც დავით უსუფაშვილმა ჯერ კიდევ თვე-ნახევრის წინ შესთავაზა, რომ 2020 წლის არჩევნებზე ყველა მაჟორიტარულ ოლქში ოპოზიცია თითო რეიტინგულ კანდიდატზე შეჯერდეს, რათა არ მოხდეს ხმებისა და პარტიული რესურსის დაქსაქსვა.

– ანუ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად რესურსების გაერთიანება მიგაჩნიათ?

– ზუსტად. მთაწმინდის არჩევნები ამისთვის ძალიან კარგი ტესტია, მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ? ვხედავთ, რომ მეორე ტურში თითქმის არც ერთი ძალა არ აპირებს, შალვა შავგულიძეს მხარი დაუჭიროს. აქ აპელირება იმაზე, როგორ შეეკრა შავგულიძე „ევროპულ საქართველოს“, თითიდან გამოწოვილია. თუ ოპოზიციის მიზანია ხელისუფლების შეცვლა, სხვა არგუმენტები ჩემთვის, პრინციპში, გაუგებარი და თითიდან გამოწოვილია.

ეს პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკაა. რა ტაქტიკას ირჩევ ხელისუფლებაში მოსასვლელად, აქ ეს არის არსებითი და ეს არის რეალური მიზანი. მე როგორც ვხედავ, მთაწმინდაზე გაერთიანება არ მოხდება, ისევე, როგორც არ მოხდება გაერთიანება 2020 წლის არჩევნებისთვის და ასე ბრინჯივით დაფანტული და დაქსაქსული ოპოზიცია გავა 2020-ის არჩევნებზე.

– რა გაფიქრებინებთ ამას, მაშინ როცა ოპოზიციიდან სხვა განცხადებები გვესმის? გვესმის, რომ უფრო და უფრო უნდა გამსხვილდეს და სხვადასხვა ძალა შემოიკრიბონ გარშემო. ამაზე დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე მსჯელობთ?

– დიახ, დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე ვმსჯელობ. 2020 წელს გაცილებით მეტი რაღაცა იდება სასწორზე: მე არ ვსაუბრობ სრული ოპოზიციური სპექტრის ერთ ქვაბში მოხარშვაზე. ოპოზიციას შეუძლია, არჩევნებზე ცალ-ცალკე სიით გავიდეს, მაგრამ, რადგან ოპოზიცია ვერ ახერხებს დაანონსებული მილიონი ხელმოწერის შეგროვებას მაჟორიტარული სისტემის გაუქმების თვალსაზრისით, ის მაინც მოახერხონ, რომ შეჯერდნენ და თითო კანდიდატი წარადგინონ თითო ოლქში, რადგან თითო ოლქში 10-10 ოპოზიციური კანდიდატის წარდგენა, ფაქტობრივად, მარცხისკენ გადადგმული ნაბიჯია. ამით გამოდის, რომ ხელისუფლება კი არა, ოპოზიციაც თესავს არჩევნებისადმი ნიჰილიზმს.

– ამას ოპოზიციაში ვერ ხვდებიან თუ ამბიციები აქვთ იმდენად დიდი, თუნდაც მთავარი ოპოზიციური ძალის მოპოვების კუთხით, რომ ასეთ ნაბიჯზე მიდიან?

– ზოგის ამბიციაა, ზოგი შეიძლება პარლამენტში მოხვედრის გზად ხედავდეს ხელისუფლებასთან ღია თუ ფარული თანამშრომლობას. ესეც პოლიტიკური ტაქტიკაა, ამას არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც იყენებენ, თუ ეს პარლამენტში მოხვედრის უმოკლესი გზაა.

ფაქტია, რომ გაერთიანების დიდი სურვილი არავის აქვს. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაზე არ ვსაუბრობ, როდესაც ვამბობ, რომ ხელისუფლებასთან გარიგებით უნდათ პარლამენტში მოხვედრა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პოლიტიკური პარტიების არცთუ მცირე რაოდენობას ეს სურვილი ექნება 2020 წლისთვის.

– წამოიწია რევოლუციის თემამ ნაციონალურ მოძრაობაში. ხედავთ საზოგადოებაში რევოლუციურ განწყობებს?

– ნაციონალური მოძრაობის პრობლემა არის ის, რომ ყველა არჩევნებზე გვესმის, რომ მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა საქართველოში და ააგორებს მოძრაობას, რომელიც ხელისუფლებას შეცვლის, მაგრამ შედეგი სხვაა. მაგალითად, გვახსოვს როდესაც ნაციონალებმა დააანონსეს, რომ საკუთარ ხელში იღებდა მაჩალიკაშვილისა და სარალიძის აქციას, მეორე დღიდანვე აქცია დაიშალა. როდესაც მეორე ტურში გავიდნენ და 800.000 ხმა მიიღეს, ქუჩაში მათი გამოყვანა ვერ შეძლეს. ეს ხომ რეალობაა?

იგივე მოხდება ახლაც. ნაციონალური მოძრაობისგან მასშტაბური საპროტესტო ტალღის აგორებას ამ ეტაპზე არ ველოდები. ზოგადადაც საზოგადოებაში იმხელა ნიჰილიზმია არსებული პოლიტიკური სპექტრის მიმართ, რომ მათ გაუჭირდებათ ხალხის ქუჩაში გამოყვანა. ამის ზუსტი ინდიკატორია დავითგარეჯის თემა.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი თემა ჩემი თაობისთვის იყო სწორედ დავითგარეჯის საკითხი. ეს იყო მაშინდელი სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. დღეს ფეისბუქსა და სამზარეულოს არ სცდება დავითგარეჯის თემაზე ვიშვიში. ეს ძალიან სერიოზული სიმპტომია იმის, რომ საზოგადოება დღეს არ არის მზად ქუჩაში გამოსასვლელად.

– ანუ პროტესტმა ქუჩიდან სოციალურ ქსელებსა და სამზარეულოში გადაინაცვლა?

– ეგ არის. მე ვიტყოდი, რომ ეს არის ფსიქოლოგების ძალიან სერიოზული კვლევის საგანი. საზოგადოებას ყოველთვის სჭირდება დაგროვილი უარყოფითი ენერგიის გამოდენა. სანამ არ იყო სოციალური ქსელები, ეს იყო ქუჩა, დღეს კი სოციალური ქსელებით გამოთქვამენ პროტესტს და უშვებენ ბოლს.

„შავგულიძის გამარჯვება გზავნილი იქნება ამომრჩევლისთვის, რომ ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია“

– ალბათ საჭიროა სწორი კამპანიაც. ხომ ვნახეთ ჩვენ სოციალური ქსელებით დაგეგმილი რევოლუციები. ან თუნდაც საქართველოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, გირჩმა და თეთრი ხმაურის მოძრაობამ რამდენი ხალხი გამოიყვანა ქუჩაში რამდენიმე საათში.

– ალბათ ბასიანის თემას იხსენებთ. კი, სოციალური ქსელები ერთი მხრივ თუ ბოლის გამოშვების საშუალებაა, მეორე მხრივ საზოგადოების მობილიზების საშუალებაც არის. ყოველ შემთხვევაში ეს ახალი მოცემულობაა, რომელსაც არავინ სწავლობს საქართველოში, არც სპეციალისტები, არც პოლიტიკური პარტიების ლიდერები და შედეგად ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ – სრულიად აპათიურ საზოგადოებას, რომელიც ქუჩაში გამოდის კი არა და არჩევნებზე არ მიდის. ამიტომაც, ახლო მომავალში არანაირ სოციალურ აფეთქებას არ ველოდები.

ჯერ ერთი, თაობები შეიცვალა და, როგორც ჩანს, ის თაობა, რომელიც მაშინ მზად იყო ქუჩაში გამოსასვლელად, დაიღალა. დავითგარეჯი ამის კარგი ინდიკატორია, თუ მაშინდელ და ახლანდელ რეაქციებს შევხედავთ დავითგარეჯთან მიმართებით. ამიტომაც ოპოზიციას ტაქტიკა სრულად აქვს შესაცვლელი.

– ამბობთ, რომ ნიკა მელიას განცხადება, რომელიც არჩევნების ღამეს გააკეთა, სწორი იყო და, ამავე დროს, მიიჩნევთ, რომ ოპოზიციას მთელი თავისი ხედვა შესაცვლელი აქვს?

– უდავოდ, იმიტომ, რომ ოპოზიცია უნდა გამოვიდეს მოტირალის როლიდან. ოპოზიცია მოტირალის როლშია შესული და საკუთარი ტრაგიკული განცდებით ტკბება. 8 თვე ის მაქსიმუმია, როცა ოპოზიციას კიდევ შეუძლია რამის შეცვლა და გარდატეხა. თუ არადა, მერე ინერციით წავა პროცესები და ხელისუფლება კი არ მოიგებს არჩევნებს, არამედ ოპოზიცია წააგებს.

– სწორი პროცესების დაწყება გადის თუ არა შავგულიძის გამარჯვება-არგამარჯვებაზე?

– შავგულიძის გამარჯვების შანსები დიდი არ არის. თუ მოხდა ისე, რომ შავგულიძემ გაიმარჯვა, ეს მთავარი მესიჯი იქნება ამომრჩევლისთვის, რომ ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია და მაჟორიტარული ოლქებისთვის ბრძოლას აზრი აქვს.

ეს იქნება 2020 წლისთვის გარდამტეხი ფსიქოლოგიური შედეგი, თუმცა შანსები მოკრძალებულია. ხელისუფლებაც კარგად ხედავს, რომ ეს იქნება გზავნილი ამომრჩევლისთვის, რომ ოპოზიციას შეუძლია, ხელისუფლებას წაართვას მაჟორიტარული ოლქები. ამიტომაც, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ მთაწმინდაზე გაიმარჯვოს.

„ფაქტია, რომ გაერთიანების დიდი სურვილი არავის აქვს. არც ერთ პოლიტიკურ პარტიაზე არ ვსაუბრობ, როდესაც ვამბობ, რომ ხელისუფლებასთან გარიგებით უნდათ პარლამენტში მოხვედრა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ პოლიტიკური პარტიების არცთუ მცირე რაოდენობას ეს სურვილი ექნება 2020 წლისთვის“

– რაზეა დამოკიდებული, გაიმარჯვებს თუ არა ოპოზიციური კანდიდატი?

– რამდენად შეძლებენ ოპოზიციის ლიდერები დარჩენილ დროში მთაწმინდის ამომრჩევლის დარწმუნებას ამაში, რომ ეს შეიძლება იქცეს შემოტრიალების წერტილად და მთაწმინდის ამომრჩეველმა დანარჩენი საქართველოს ამომრჩეველს დაანახოს, რომ ხელისუფლებისთვის მაჟორიტარის წართმევა შესაძლებელია და უფრო გლობალურად კი საქართველოში არჩევნებს აქვს აზრი.

მასშტაბურად უნდა შეახედონ ამომრჩეველს და არა მხოლოდ შავგულიძისკენ. თუ ამას შეძლებენ, ამომრჩეველი არჩევნებზე მივა. თუ ამომრჩეველი მივა, მაშინ ხელისუფლებაც ვერაფერს გააკეთებს.

სხვა პოლიტიკური სუბიექტების წინაშეც უნდა დააყენონ ეს საკითხი, რომ თუ მათ უნდათ,

ხელისუფლების დამარცხების პრეცედენტი შეიქმნას, მაშინ მხარი დაუჭირონ არა შავგულიძეს, არამედ ამომრჩევლის დაბრუნებას არჩევნებზე. ეს უნდა იყოს საერთო ლოზუნგი და არა კონკრეტული სახელისა და გვარის მატარებელი კანდიდატი.

– სააკაშვილის მხარდაჭერა იქონიებს თუ არა გავლენას დადებითი ან უარყოფითი კუთხით?

– ნაციონალური მოძრაობის ხმები უდავოდ მნიშვნელოვანია შავგულიძისთვის, მაგრამ, ამავე დროს, შეიძლება სააკაშვილის მხარდაჭერამ სხვა ამომრჩეველი დააკარგვინოს. ამიტომ, ერთხელ მაინც ხომ შეიძლება, გვერდზე გადადოს სააკაშვილმა თავისი ამბიციები და ენმ-მ აფიშირების გარეშე, კარდაკარის პრინციპით იმუშაოს თავის ამომრჩეველთან და გამოიყვანოს ელექტორატი შავგულიძის მხარდასაჭერად.

– ხელისუფლებამ რა მოიგო ამ არჩევნებით?

– პირველ რიგში – ფსიქოლოგიური უპირატესობა, რაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი იყო „ქართული ოცნებიდან“ წევრების გადინების შეკავების თვალსაზრისით. მათთვის ეს არჩევნები უნდა გამხდარიყო ნიშანი იმისა, რომ სხვა არც ერთ პარტიას არ აქვს არჩევნების მოგების რეალური შესაძლებლობა. შესაბამისად, რეალური შანსია, რომ „ოცნება“ 2020-ში იყოს პირველი პოლიტიკური ძალა, რომელიც შესაძლოა მესამე ვადით დარჩება ხელისუფლებაში. და თუ ეს ასეა, მაშინ სადღა უნდა გაიქცეს „ოცნების“ მეამბოხე ნაწილი?!

– არ ელოდებით, რომ ოპოზიციამ რაღაც შეცვალოს?

– ოპოზიციამ უნდა შეიცვალოს როლი. მაქვს განცდა, რომ ოპოზიცია საკუთარ პანაშვიდზე იმყოფება. ამ როლიდან, დამტირებლის როლიდან უნდა გამოვიდეს, გაიაზროს, რა სჭირს მას და რეალურ ქმედებებზე უნდა გადავიდეს.

ველოდები, რომ 2-3 პარტია გაჩნდება. არა მსხვილი კალიბრის, მაგრამ გამოჩნდება ახალი პარტიები, რომელიც იმ 50%-სთვის იბრძოლებს, რაც, ენდიაის კვლევის მიხედვით, არც ერთ პარტიაზე არ ნაწილდება. ეს ერთგვარად ოქროს საბადოა ახალი პოლიტიკური ძალებისთვის. ვნახოთ, რამდენად კონკურენტუნარიანი ძალები გამოვლენ ასპარეზზე.

– ანუ, მაინც კოალიციური მთავრობის მოლოდინი გაქვთ?

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ძალიან რთულია. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ მოახერხებს ოპოზიცია, რომ საერთო კანდიდატებზე შეჯერდნენ მაჟორიტარულ ოლქებში და ერთმანეთს ხმები არ წაართვან; ვინ გამოვა ოპოზიციურ ფლანგზე ახალი; კიდევ რა შეცდომებს დაუშვებს ხელისუფლება, რომელსაც გამარჯვების ეიფორია აქვს და ეს შეცდომების მაპროვოცირებელია ხოლმე და ა.შ.

– ჩვენს ისტორიაში არასდროს მომხდარა, როცა ერთ ძალას 2-ზე მეტი ვადით მოეგო არჩევნები. გგონიათ, რომ „ოცნებას“ ამის შანსი აქვს?

– იქით შემოგიბრუნებთ კითხვას: ხვალ რომ არჩევნები იყოს, შუალედური არჩევნებიდან გამომდინარე, რა შედეგს მიიღებდა „ოცნება“? ხომ ისევ მოვიდოდა ხელისუფლებაში?!

– თუმცა, დამეთანხმებით, რომ განსხვავებული სპეციფიკისაა შუალედური და განსხვავებულია საპარლამენტო არჩევნები.

– კი, არის განსხვავებული სპეციფიკა. რა თქმა უნდა, 2020-ში „ოცნება“ ვერ შეძლებს ზუსტად იმ შედეგის გამეორებას, რაც ახლა შუალედურ არჩევნებზე დადო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაქსიმუმის აღებას ეცდება. „ოცნებისთვის“ მთავარია, რომ: 1. ოპოზიცია არ გამოვიდეს მოტირალ-მოწუწუნის როლიდან; 2. არ გაერთიანდეს; 3. და გააგრძელოს ამომრჩევლის დარწმუნება იმაში, რომ არჩევნებს აზრი არ აქვს. და ასე ნანატრი მესამე ვადით ხელისუფლებაში დარჩენაც ერთი ხელის გაწვდენაზეა. თუმცა, იქამდე წელიწად-ნახევარია და, იმედი ვიქონიოთ, რომ ოპოზიციის ნაწილს მაინც აქვს რეინკარნაციის შანსი და ახალი პოლიტიკური ძალებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან.

სომხეთის საგარეო მინისტრს ლავროვთან საუბრის შემდეგ სასწრაფოს გამოძახება დასჭირდა

აშშ სომხეთს საგარეო პრიორიტეტების გამოკვეთას ურჩევს

მარიამ მჭედლიშვილი

კავკასიაში აშშ-სა და რუსეთს შორის კონკურენცია ისეთი გამომწვევი არ არის, როგორც ვენესუელაში. თუმცა, დღითიდღე რეგიონში გეოპოლიტიკური ტემპერატურა იმატებს. ამის ნათელი მაგალითი სომხეთში მიმდინარე მოვლენებია.

ცოტა ხნის წინ სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა არმენ გრიგორიანმა დააანონსა თავისი ვიზიტი მოსკოვში, ასევე – თავისი კოლეგა ნიკოლაი პატრუშევის საპასუხო ჩასვლა ერევანში ივნისში.

ამის პარალელურად, გრიგორიანი აშშ-ში ჩავიდა. ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველ ჯონ ბოლტონთან მისი შეხვედრა ვერ შედგა, მაგრამ გაიმართა საუბარი მისი ოფისის წარმომადგენლებთან და სხვა გავლენიან წრეებთან. შეხვედრებზე სომხეთის წარგზავნილს მოუწოდეს, რომ ერევანმა მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი საგარეო პრიორიტეტები. ამ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სომხეთს გაეზრდება ამერიკული დახმარება.

ნიკოლ ფაშინიანის მოსვლის შემდეგ 6 თვის განმავლობაში ვაშინგტონმა ერევანს დამატებით უკვე გამოუყო 14 მილიონი დოლარი. სომხეთის პრესის თანახმად, საგარეო პოლიტიკის გადალაგებას კინაღამ საგარეო მინისტრი ზოგრაბ მნაცაკანიანი ემსხვერპლა – თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან მძიმე სატელეფონო საუბრის შემდეგ მას სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდა.

კრემლი განაგრძობს ჩარევას საქართველოს, მოლდოვისა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში, რომ არაფერი ითქვას უკრაინაზე. ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, რუსეთი ხელს უშლის კოალიციური მთავრობის შექმნას მოლდოვაში. კრემლმა ვეტო დაადო დოდონის სოციალისტების თანამშრომლობას პლახოტნიუკის დემოკრატებთან, ასევე დოდონის სოციალისტების გაერთიანებას პროევროპულ ბლოკთან. კრემლთან დაახლოებული პირები ოლიგარქ პლახოტნიუკს ტოქსიკურს უწოდებენ, პროევროპულ ბლოკს კი იმის გამო ეწინააღმდეგებიან, რომ მას მოლდოვის ევროკავშირში შესვლა უნდა.

რეტროგრადი რუსი ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთისთვის ზურგის შექცევა ქვეყნებს ძვირად უჯდებათ. მაგალითად, საქართველო ყველაზე მდიდარი საბჭოთა რესპუბლიკა იყო. საქართველოდან გამოვიდა ბევრი საბჭოთა ხელმძღვანელი, დიდი სტალინით დაწყებული, ოდიოზური შევარდნაძით დამთავრებული. საქართველო, მათი შეფასებით, ერთ-ერთი ყველაზე ანტირუსული სახელმწიფოა. საბჭოთა წარსულს ცუდად იხსენიებს აზერბაიჯანი და, რაც ყველაზე გასაკვირია, სომხეთი.

კრემლთან დაახლოებული ექსპერტებისთვის ყველაზე მტკივნეული უკრაინის პოზიციაა. მათი მტკიცებით, რუსული სამყაროსგან უკრაინის მოწყვეტაზე დასავლეთი მეცხრამეტე საუკუნიდან ოცნებობს.

ამერიკელი ანალიტიკოსები ჯორჯთაუნის ფონდიდან განმარტავენ, თუ რა შემთხვევაში გაუჩნდება რუსეთს საქართველოს, უკრაინისა და ბალტიის სახელმწიფოების დაბრუნების ამბიცია. მათი აზრით, ამას განაპირობებს გამარჯვება ვენესუელაში.

როგორც ცნობილია, ვენესუელაში კრემლი ისევ მადუროს რეჟიმის მფარველია, თეთრი სახლი კი მადუროს ებრძვის და გარდამავალ პრეზიდენტად გუაიდოს აღიარებს. ოფიციალური თბილისის პოზიცია ვაშინგტონისას ემთხვევა.

ანალიტიკოსების დასკვნით, თუ რუსეთმა ვენესუელაში თავისას მიაღწია, მოსკოვი თავის გავლენას მეზობელ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე განავრცობს და პოზიციებს სამხრეთ ამერიკაშიც გაიმყარებს. მით უმეტეს, რომ ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ექსპანსიის წინააღმდეგ გამოსვლები ეროვნულ სპორტად ითვლება.

საქართველოსთვის ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში კრემლის გაძლიერება იმითაც არის სახიფათო, რომ მათგან არსებობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების საფრთხე.

არაღიარების პოლიტიკის დამრღვევი ყველა ქვეყანა რუსეთის გავლენას განიცდის.

„აზერბაიჯანის საელჩოსთან აქციას გავმართავთ“

გულიკო ბალაძე

გიორგი ლაღიძე: „თუ ხელისუფლება არ იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, მაშინ ეს ხალხმა უნდა გააკეთოს“

ბოლო დროს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის მონაკვეთზე ვითარება კვლავ დაიძაბა – აზერბაიჯანმა მძიმე ტექნიკით გზის გაყვანა დაიწყო ჩიჩხიტურის მონასტრამდე და კლდეს მიადგა. პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე დავითგარეჯში იმყოფებოდა და „ახალ თაობასთან“ იქ არსებულ ვითარებას აფასებს.

– ბატონო გიორგი, თქვენ იმყოფებოდით დავითგარეჯში. რა ნახეთ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დავითგარეჯის მონაკვეთთან?

– როდესაც პირველად გამწვავდა ვითარება აღდგომის წინა დღეებში და აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა გადაკეტეს უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი გზა, დავითგარეჯში ჯერ კიდევ მაშინ ვიმყოფებოდი. საზოგადოების პროტესტის შემდეგ გარკვეული პერიოდში აღდგომის მონასტერთან და უდაბნოს მონასტერთან, ანუ ქედზე მდებარე მონასტრებში მისასვლელი გზა გაიხსნა.

გაიხსნა ასევე ჩიჩხიტურთან მისასვლელი გზაც, რომელიც ასევე ქედზე მდებარეობს. დავითის ლავრა მდებარეობს ქედს აქეთ ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ქედზე მდებარეობს უდაბნოს მონასტერი და აღდგომის ტაძარიც. აღდგომის წინა დღეებში აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა სწორედ უდაბნოსა და აღდგომის მონასტრებთან მისასვლელი გზები ჩაკეტეს.

საზოგადოების აღშფოთებისა და რეაქციის შემდეგ მათ ეს გზები მაშინ გახსნეს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გზები უკვე ჩვენმა მესაზღვრეებმა ჩაკეტეს და ქედზე მომლოცველებს აღარ უშვებენ. მე იქ პარასკევს ვიმყოფებოდი. ერთადერთი, სადაც ქვეყნის მოქალაქეებსა და ტურისტებს შეუძლიათ შესვლა, დავითის ლავრაა, რომელიც მდებარეობს ქედის დაბლა, ჩვენს მხარეს, ზევით, ქედზე მდებარე ტაძრებში, ანუ ჩიჩხიტურისა და უდაბნოს მონასტრებში, ასევე აღდგომის ტაძარში შესვლა უკვე შეუძლებელია. ამას აფერხებენ ჩვენი მესაზღვრეები.

– მიზეზი რა არის, ჩვენი მესაზღვრეები რატომ არ უშვებენ?

– მათ განაცხადეს, რომ მიმდინარეობს სადემარკაციო ხაზის დადგენა და შეზღუდვები დროებითია. თუმცა, ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ ოფიციალური პირებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებული ორმხრივი კომისია მუშაობს საქართველოსა და აზერბაიჯანის მხრიდან, ამ ფონზე აზერბაიჯანმა უაპელაციოდ, ბულდოზერების გამოყენებით ჩიჩხიტურის მონასტრისაკენ გზის გაყვანა დაიწყო.

– რას ნიშნავს, როცა მით უმეტეს, მოლაპარაკების პროცესში აზერბაიჯანული მხარე მუშაობას რომ არ აჩერებს, გზა გაჰყავს, თან იტყუებიან, თითქოს არ იცოდნენ.

– ჩვენ გვყავს უუნარო ხელისუფლება. ხელისუფლება არ და ვერ იცავს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს. ამან განაპირობა ის, რომ ჩვენი სტრატეგიული მეზობელი, აზერბაიჯანი ოკუპანტად გვევლინება, ქართულ მიწას ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებს. გარკვეული ტერიტორია უკვე წაღებული აქვს. ბერთუბანი უკვე მათ კონტროლქვეშაა. ეს არის ტერიტორია, რომელიც შედიოდა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში. დღეს ისეთი სიტუაციაა, სამწუხაროდ, ბერთუბანზე ვერ ვლაპარაკობთ.

– ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში? მოლაპარაკებებს ხომ აწარმოებს, სხვა რა ქნას, ძალა გამოიყენოს?

– არა, ძალის გარდა, უამრავი ბერკეტია და ის ბერკეტი უნდა იქნეს გამოყენებული ეფექტურად. აუცილებელი არ არის ომის დაწყება. თუ საჭირო იქნება, დიახ, თითოეულმა ქართველმა ჩვენი მიწა-წყალი უნდა დავიცვათ.

თუმცა, თუ ხელისუფლების პრინციპული დამოკიდებულება იქნება, საომარ მდგომარეობამდე საქმე ნამდვილად არ მივა. ძალიან ბევრი ბერკეტი არსებობს, რომელიც ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული.

– რა ბერკეტები არსებობს?

– მოგეხსენებათ, საქართველოში ნახევარი მილიონი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს. ჩვენ მათ სასათბურე პირობები შევუქმენით მაშინ, როდესაც საინგილოში ქართველებს ავიწროებენ, სკოლებში ქართული ენის სწავლებას ზღუდავენ, სკოლებში ქართულ წიგნებს კონფისკაციას უკეთებენ, ქართულ ტაძარს – ქურმუხის ტაძარს შეურაცხყოფას აყენებენ.

ამ ფონზე ჩვენ აქ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას სასათბურე პირობები შევუქმენით – მარტო თბილისის შემოგარენში ფონიჭალაში ორი უზარმაზარი მეჩეთია აშენებული. ამ ფონზე ჩვენ გვართმევენ ჩვენს სიწმინდეებს. არსებობს სხვა სახის ბერკეტებიც. აზერბაიჯანს საქართველოს გზით აქვს კავშირი ევროპასთან. მათ შორის, ეს არის სატრანზიტო დერეფანი. მოგეხსენებათ, აზერბაიჯანული ენერგომატარებლები, მათ შორის, ნავთობი სხვადასხვა სახელმწიფოს საქართველოს გზით მიეწოდება.

კიდევ სხვა ბევრი მექანიზმი არსებობს, რაც ხელისუფლებამ ძალიან ეფექტურად უნდა გამოიყენოს. თუ ჩვენ მიზანმიმართულად გამოვიყენებდით ყველა ბერკეტს, მერწმუნეთ, შედეგი აუცილებლად დადგებოდა და ის შედეგი ქართულ სახელმწიფოს არ დააზიანებდა, მაგრამ ესენი არიან უსუსურები. როგორც ჩანს, ქართული ინტერესები და ქართული სახელმწიფოს ინტერესები გაყიდეს და საკუთარ ბიზნესინტერესებს ანაცვალეს.

ამას ქართველი საზოგადოება ნამდვილად ვერ შეეგუება. ჩვენ ვერ შევეგუებით ჩვენი სიწმინდეების დაკარგვას. მოგეხსენებათ, ეს არის ძალიან დიდი დონის წმინდა ადგილი. დავითგარეჯის ლავრაში აღდგომა დღეს შაჰ აბასმა 6 ათასი ბერი ამოწყვიტა. დღეს ამ სიწმინდეებსა და ტერიტორიებს მათი იდეური შთამომავლები გვედავებიან. ეს ყველამ უნდა იცოდეს.

თუ ხელისუფლება ამას დათმობს, მერწმუნეთ, ამას ქართველი ხალხი არავის აპატიებს, არც არსებულ ხელისუფლებას აპატიებს, მათ შორის, აგრესორსაც საკადრის პასუხს გასცემს. 26 მაისს თბილისში ჩვენ ტაშ-ფანდურით კი არ უნდა ვხვდებოდეთ, არამედ იქ უნდა ვიყოთ. დღეს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა დავითგარეჯშია საჭირო და იქ ყველა უნდა ჩავიდეთ.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. თუ დღეს ასე დაუდევრად მოვექეცით საკუთარ მიწა-წყალს, ხვალ მადაგახსნილმა აზერბაიჯანმა შეიძლება პრობლემები სხვაგანაც შეგვიქმნას.

ამ ხალხს უნდა დავანახოთ, რომ საქართველო არის სახელმწიფო. საქართველო არ არის ივანიშვილის. საქართველოს ბატონ-პატრონი არის ქართველი ხალხი, რომელიც ქართული მიწისა და ქართული სიწმინდეების დაკარგვას ნამდვილად არ დაუშვებს, რის ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ომი არავის უნდა. ჩვენ ყველას გვინდა მშვიდობა. ეს საკითხი მშვიდობიანი მეთოდებით უნდა იქნეს მოგვარებული. თუმცა, თუ საკუთარი მიწა იარაღით გახდა დასაცავი, დიახ, ყველა ქართველმა ხელში იარაღი უნდა ავიღოთ და საკუთარი მიწა-წყალი უნდა დავიცვათ. დღეს უკვე იმ ბულდოზერებმა გაჭრეს უზარმაზარი გზა და ჩიჩხიტურის მონასტრამდე მივიდნენ. უკვე კლდის ქანებს ანგრევდნენ. უბრალოდ, დღის მეორე ნახევარში სამუშაოები შეჩერდა.

– საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი მხრიდან აზერბაიჯანულ მხარესთან კომუნიკაცია იყო და სამუშაოები შეაჩერეს. თუმცა, ჩიჩხიტურის მონასტრამდე მათი მხრიდან გზა მიყვანილია.

– დიახ, გზა უკვე მიყვანილია. „შეაჩერეს“, ეს ძალიან შელამაზებული ნათქვამია ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. უბრალოდ, ბულდოზერებით მიადგნენ კლდის ქანებს, რომელიც ვერ დაანგრიეს და მუშაობა შეჩერდა, მაგრამ იმის გარანტია არ გვაქვს, რომ მუშაობა ორშაბათს ან მომდევნო კვირაში არ განახლდება. ამის არანაირი გარანტია და ბერკეტი აღარ არსებობს.

აზერბაიჯანთან საზღვრის დადგენა ხდება 1938 წლის რუკების საფუძველზე. თუ ჩვენ იმ რუკების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანთან დაახლოებით 250-300 მეტრით იქით მდებარეობს. საზღვარი საერთოდ ქედს იქით არის.

როგორც ვიცი, საზღვრის დამდგენი ორმხრივი კომისია 1996 წლიდან არის შექმნილი, რომელიც ამ საზღვრის დადგენაზე მუშაობს. სხვათა შორის, ქართული მხრიდან ვინც კომისიის შემადგენლობაში შედიოდა, მათი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგია ის, რაც დღეს ხდება.

– რას გულისხმობთ? კომისია დათმობაზე წავიდა?

– ფაქტობრივად, დათმობაზე წავიდნენ.

– კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ, 1996 წელს შექმნილი კომისიის წევრები ახლა რა დათმობაზე წავიდნენ (როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ახლა ის კომისია გადახალისებულია), ან რა მოხდა?

– განვმარტავ – რეალურად, საზღვარი 250-300 მეტრით იქით მდებარეობს – აზერბაიჯანის მხარეს. თუმცა, ნათელია ის, რომ აზერბაიჯანელები ქედზე ამოვიდნენ და უკვე ქედზე მდებარე ეკლესიებს გვედავებიან. შესაბამისად, ამას წინ უძღოდა (რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია) 1996 წელს შექმნილი კომისიის გარკვეული შეთანხმება.

– იმ შეთანხმების რაიმე ნიუანსები იცით?

– მაქსიმალურად ცდილობენ, ეს ინფორმაცია არ გაასაჯაროონ. თუმცა, ჩვენ გვაქვს გარკვეული ინფორმაცია, რომ საზღვრის დიდი ნაწილი აზერბაიჯანთან ამ კომისიას უკვე აქვს დადგენილი, მაგრამ დავითგარეჯის მონასტერი და ის სადავო ტერიტორია, რაზეც ვერ შეთანხმდნენ, დარჩენილია შესათანხმებელი.

თავის დროზე კომისიას უნდა აეტეხა განგაში. მაშინ, როდესაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ამოვიდნენ და ქედზე დადგნენ, სახელმწიფომ მიუყურუა. ეს არის ჯერ შევარდნაძის ხელისუფლების, შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების დანაშაული. იმავეს წარმატებით აგრძელებს ივანიშვილის ხელისუფლება. ამაზე ხმა არავინ ამოიღო. ჩვენი სახელმწიფო არც ამას გვეუბნებოდა.

ისინი ჩვენ გვატყუებდნენ, ორმხრივი კომისიის მუშაობა მიმდინარეობსო. ზუსტად ამ ფონზე უზარმაზარი ბულდოზერები მუშაობდნენ და ჩვენი მონასტრებისა და ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიისკენ გზა გამოჭყავდათ.

ეს არის სახელმწიფოს უპატივცემულობა. ამ საკითხით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს (ყველა თავმოყვარე სახელმწიფო ამას გააკეთებდა), ქართული კომისია რამდენად კეთილსინდისიერად მუშაობდა, შემთხვევით სახელმწიფო ინტერესების ღალატთან ხომ არ გვაქვს საქმე.

– ხომ არ იცით იმ კომისიის შემადგენლობა?

– სამწუხაროდ, ინფორმაცია არ მაქვს. ამ ინფორმაციის მოძიებას ვცდილობ და, თუ ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა, თქვენც მოგაწვდით. სახელმწიფო აუცილებლად უნდა დაინტერესდეს და სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს მათ ქმედებებს. რეალობა არის ის, რომ ქართულ-აზერბაიჯანული კომისიის წევრებს ხელი აქვთ მოწერილი გარკვეული საზღვრის დადგენაზე.

მაშინ, როდესაც 1938 წლის რუკებით საზღვარი ქედიდან 250-300 მეტრით იქით არის, რატომ გვედავება დღეს აზერბაიჯანი ქედს, ზუსტად ეს საკითხია დასადგენი.

– ამ შემთხვევაში საზოგადოებამ რა როლი უნდა ითამაშოს?

– ჩვენ კიდევ არაერთხელ წავალთ დავითგარეჯში და აზერბაიჯანის საელჩოსთანაც ვაპირებთ აქციის გამართვას. თუ ხელისუფლება არ იცავს ქართული სახელმწიფოს ინტერესებს, მაშინ ეს ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს.

– ქართველი საზოგადოების რეაქცია ალბათ ხელისუფლებას დაეხმარება.

– ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, რომ ქართული სახელმწიფოს ინტერესები დაიცვას. მე, უბრალოდ, ძალიან მაკვირვებს საპატრიარქოს პოზიცია.

ეს საკითხი საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსის დონეზე არ უნდა წყდებოდეს. ეს ის თემაა, რომელშიც ერი და ბერი უნდა იყოს ჩართული და არც ქართული სახელმწიფოს ინტერესები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაზიანებული. აქედან გამომდინარე, ეს თემა უფრო მაღალ დონეზეა ასაყვანი.

ძალიან სამარცხვინოა ასევე ოპოზიციის გარკვეული ნაწილის ქმედება, რომელიც საერთოდ არ იღებს ხმას დავითგარეჯის ოკუპაციასთან დაკავშირებით.

– ოპოზიციაში ვის გულისხმობთ?

– იმავე საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილს, ე.წ. ლიბერალურ ძალებს, რომლებსაც დავითგარეჯის ოკუპაციასთან დაკავშირებით ხმაც კი არ ამოუღიათ. ეს მათი მხრიდან ყოვლად სამარცხვინო საქციელია. ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და, როგორც ჩანს, მათაც ბევრი აქვთ დაშავებული ამ საკითხთან დაკავშირებით. საზოგადოებას არაფერი აქვს დასაკარგი, საზოგადოებამ უნდა იაქტიუროს. მჯერა, თუ იქნება საზოგადოებისა და მთავრობის აქტიურობა, დავითგარეჯს გადავარჩენთ. თუმცა, ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი, ვინც გაბედა და ქართული მიწა გაასხვისა.

გიორგი ლომინაძე: „სამუშაოები, რომლებსაც სახელმწიფო ქმნის, სინამდვილეში დოვლათს ანადგურებს“

რადიო კომერსანტზე, გადაცემაში „პროფესიონალები“, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ბაზრის“ დამფუძნებელმა და თავმჯდომარე გიორგი ლომინაძემ საქართველოში შრომის ბაზარზე დერეგულაციის პოლიტიკის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

– ადამიანები უნდა მუშაობდნენ იმისთვის, რომ შექმნან დოვლათი. საქართველოში კი ადამიანები მუშაობის პროცესში დოვლათს ანადგურებენ, ამიტომაც ყველა ვღატაკდებით. სტატისტიკის თაყვანისმცემელი არ ვარ, ის არ ასახავს რეალობას, არა იმიტომ, რომ, მაგალითად, დასაქმებულის განსაზღვრებაა პრობლემატური, არამედ იმიტომ, რომ, პირველ რიგში, არ ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი სამუშაოები ქმნიან დოვლათს და სად ხდება მომხმარებლის ნებასურვილის ნებაყოფლობითი დაკმაყოფილება. იდეა მდგომარეობს შემდეგში, ერთი ადამიანი ყიდის შრომას და მეორე ყიდულობს მისგან ამ სერვისს. ის სამუშაოები, რომლებსაც სახელმწიფო ქმნის, სინამდვილეში ანადგურებენ დოვლათს. ასეთი სამსახურები მაქსიმალურად უნდა შემცირდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება დასაქმებულთა რიცხვი შეამციროს. ის სამუშაოები, რომლებიც დოვლათს არ ქმნიან, უნდა გაქრნენ, რაც მეტად შემცირდება ასეთი სამუშაოების რიცხვი, მით უფრო სწრაფად შეიქმნება ისეთი, რომელიც დოვლათს შექმნის. სახელმწიფო სერიოზულ ტვირთს წარმოადგენს თავისუფალ ბაზარზე, თავისუფალი ბაზარი კი სწორედ ისეთ სამუშაო ადგილებს გააჩენს, რომლებიც აუცილებლად შექმნიან დოვლათს.

ჯანდაცვა და განათლება საქართველოში და ასევე მსოფლიოშიც ყველაზე მეტად რეგულირებული სფეროებია, რისი საჭიროებაც სრული აბსურდია. რეგულირება ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს ვუკრძალავთ ნებაყოფლობითი ქმედების განხორციელებას. სწორედ ამიტომ, აღარ იდება ზუსტად ისეთი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც სიკეთის, დოვლათის მომტანი იქნება და გაგვამდიდრებს. ჩვენ არ უნდა ვიმტვრიოთ თავი იმაზე, თუ რამდენი ექიმი და ექთანი უნდა გვყავდეს, ან რამდენი პაციენტი უნდა მოდიოდეს ერთ ექთანზე. ჩვენი აზრით, შეუძლებელია, რომ ეს რაოდენობა სწორად გადაწყვიტოს ვიღაც ჩინოვნიკმა, რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს ის. ამას წყვეტს მხოლოდ თავისუფალი ბაზარი და ჩვენი მომხმარებლები, რომლებიც ყიდულობენ სერვისებს ერთმანეთთან შეუზღუდავი კონკურენციაში მყოფი კომპანიებისგან. რომ არა სახელმწიფოს ძალადობრივი მონოპოლია, გვექნებოდა კონკურენცია, რომელიც შექმნიდა მაღალ ხარისხს და დაბალ ფასებს. შრომის პირობებს რაც შეეხება, მონური პირობებით არავინ არ უნდა მუშაობდეს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციები მაიძულებს სწორედ ამ პირობებში მუშაობას. რაც უფრო შეზღუდულია კონკურენცია, მით უფრო ნაკლები სამუშაო ადგილია და მით უფრო დაბალ ხელფასზე მიწევს მუშაობა.

თავისუფალი ბაზრის ამოსავალი წერტილი ნებაყოფლობითობაა. ნებაყოფლობითობა ქმნის შეუზღუდავ კონკურენციას და შემდეგ იქმნება სერვისის მაღალი ხარისხი და დაბალი ფასები, ასე ვმდიდრდებით ყველა. თუკი სურთ დასაქმებულ პირებს შექმნან კავშირი, რა თქმა უნდა, პროფკავშირებს უნდა ჰქონდეთ არსებობის უფლება. მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, ჩაერიონ ნებაყოფლობით შრომით გარიგებებში. ერთადერთი, ვინც მათ ანიჭებს იმის უფლებას, რომ ჩაერიონ ძალადობრივად ამ შრომით გარიგებებში, სახელმწიფოა.

უდიდესი შეცდომა და ტყუილია, როცა პროპაგანდირებენ, რომ თავისუფალი ბაზარი ბიზნესის მხარესაა და მთავრობა მომხმარებლების. სინამდვილეში, პირიქით არის, თავისუფალი ბაზარი მომხმარებლების ინტერესს წარმოადგენს. ბიზნესი იძულებულია იყვნენ კონკურენციაში ბაზარზე, რაც მას არ აწყობს. ბიზნესი და სახელმწიფო შედიან გარიგებაში და სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციებით, სუბსიდიებით და ა.შ. იზღუდება კონკურენცია და ხელი ეშლება ახალი კომპანიების წარმოქმნას, რათა ისინი კონკურენციაში შევიდნენ უკვე არსებულ კომპანიებთან.

სახელმწიფო ქმნის ძალადობრივ ოლიგო და მონოპოლიებს. ანტიმონოპოლისტური სამსახური არის შირმა, ტყუილი, რომელიც ზღუდავს კონკურენციას. თვით სახელმწიფოც ძალადობრივი მონოპოლიაა. პოლიტიკური მონოპოლიაა, რომელსაც ქმნის მთავრობა და არავინ სხვა.

უთანასწორობა შეიძლება ორნაირი იყოს – სამართლიანი და უსამართლო. თუ ჩემი ნიჭით, შრომით მივაღწიე გარკვეულ ქონებრივ მდგომარეობას, ეს სამართლიანია. თუ სახელმწიფომ ჩამაყენა ისეთ მდგომარეობაში, რომ მე გავხდი ძალადობრივი მონოპოლისტი და ამით მივაღწიე სიმდიდრეს, მაშინ ეს უსამართლო უთანასწორობაა. ბოროტება კი მხოლოდ უსამართლო უთანასწორობაა და ისეთი სიმდიდრე, რომელიც ძალადობრივი გზითაა მოპოვებული, – ამბობს გიორგი ლომინაძე.

კომერსანტი

რა იცვლება სესხის ამოღების პროცესში

საფინანსო ორგანიზაციებს მომხმარებლის შევიწროება, ზეწოლა, შეურაცხყოფა აეკრძალებათ. ამის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის/კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის პროექტშია აღნიშნული.

სებ-ის ცნობით, კოდექსის მიზანია ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის/კრედიტის ამოღებისას მომხმარებლებთან ურთიერთობის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული წესებისა და ჩვეულების დამკვიდრების ხელშეწყობა.

დოკუმენტი ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებას, სესხის/კრედიტის ამოღების პროცესში დაიცვას ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმები და იმოქმედოს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე.

კერძოდ, როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, ფინანსურ ორგანიზაციას მომხმარებლების ვადაგადაცილებული სესხის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება აეკრძალება. გარდა ამისა, სებ-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება მომხმარებელს მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ რეკვიზიტებზე დაუკავშირდეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ პირთან დაკავშირება დღის 10:00 საათიდან 20:00 საათამდე პერიოდში უნდა მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში გაწერილი მოთხოვნების შესრულება კოდექსის დამტკიცების შემდეგ ეროვნული ბანკის რეგულირებისა და ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის, მათ შორის, სესხის გამცემი სუბიექტისთვის სავალდებულო იქნება.

ამასთან, სებ-ის ცნობით, აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ სამუშაო ვერსიას წარმოადგენს, რომელიც განხილვის პროცესში, შეიძლება შინაარსობრივი და ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს დაექვემდებაროს. დაინტერესებულ პირებს მოსაზრებების, შენიშვნებისა და შეკითხვების გაგზავნა 2019 წლის 3 ივნისის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: cp@nbg.gov.ge შეეძლებათ.

ბიზნესპრესნიუსი

„ანაკლია სითის“ დირექტორი: „საქართველოში კვალიფიციური მუშახელის პრობლემაა“

– აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი თანამშრომლობა ითვალისწინებს როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაში დახმარებას, ასევე ჩვენ დაყენებული გვაქვს შესაბამისი უნარჩვევიანი მუშახელის საკითხიც, – „ანაკლია სითის“ გენერალური დირექტორი ქეთი ბოჭორიშვილი კვალიფიციური მუშახელის პრობლემაზე საუბრობს და აცხადებს, რომ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ამ კუთხით დახმარებასაც მოიაზრებს.

ბოჭორიშვილი ირწმუნება, რომ ანაკლიის პორტის პროექტი ყველა დონეზე საერთაშორისო სტანდარტების დაცვით აშენდება და იფუნქციონირებს.

– საქართველოში გვაქვს უმუშევრობის მაღალი დონე, მაგრამ კვალიფიციური მუშახელის პრობლემა დღესდღეობით არსებობს. აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი თანამშრომლობა არის მრავალმხრივი და ის ითვალისწინებს როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაში დახმარებას, ასევე ჩვენ დაყენებული გვაქვს უნარჩვევიანი მუშახელის საკითხიც. ერთ-ერთი მიმართულება სწორედ გადამზადებაა იმ საწარმოებისთვის, რომელიც იქ გაჩნდება. უკვე ჩართული ვართ ამ მიმართულებით და დაგვიდასტურეს, რომ მიზანმიმართულად მოახდენს გადამზადებას ანაკლიის ეკონომიკური ზონისთვის.

დიდი მოთხოვნა გაჩნდება საწყობო მეურნეობებზე, მომსახურებაზე, სერვისებზე, ვაჭრობაზე, სასტუმროზე და ა.შ. ეს პროექტი ყველა დონეზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განხორციელდება. დონორებს აქვთ დიდი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით. ჩვენი მიზანი არ არის მხოლოდ პორტის აშენება, არამედ შედეგი იქნება მისი გამართული მუშაობა, – განაცხადა „საქმიანი დილის“ ეთერში ქეთი ბოჭორიშვილმა.

თბილისის ბაგა-ბაღებს საკვები პროდუქტებით კომპანია „მზიური“ მოამარაგებს

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებს მომავალი კვირიდან საკვები პროდუქტებით კომპანია „მზიური“ მოამარაგებს – აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის მერიამ და საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ ერთკვირიანი მუშაობის შედეგად მიიღეს.

როგორც ბაღების მართვის საagენტოში აცხადებენ, ამ პერიოდში გაიმართა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სადისტრიბუციო კომპანიასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნულ სფეროში საქმიანობის გამოცდილება სულ რამდენიმე კომპანიას აღმოაჩნდა.

მათივე ინფორმაციით, მოლაპარაკების შედეგად შეირჩა კომპანია „მზიური“, რომელსაც აქვს 15-წლიანი სადისტრიბუციო გამოცდილება (თვეში 4500 სავაჭრო ობიექტის მომარაგებას ახდენს).

– კომპანია საჯარო ბაგა-ბაღებს 60 დასახელების საკვებ პროდუქტს დროულად მიაწვდის და აიღებს სრულ პასუხისმგებლობას მათ ხარისხზე.

პირველ ეტაპზე, 27 მაისიდან, კომპანია „მზიური“ მხოლოდ ვაკისა და საბურთალოს რაიონებში მდებარე ბაღებს მოამარაგებს, ხოლო 30 მაისიდან უკვე სრულად დაფარავს 180-ვე საჯარო ბაღის კვებით მომარაგებას.

აღნიშნული კომპანია ბაგა-ბაღებს მოამარაგებს გარდამავალ პერიოდში პირველ ივლისამდე, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან გამარჯვებული კომპანია ტენდერის საფუძველზე გამოვლინდება, – აცხადებენ სააგენტოში.

1TV

ნათია თურნავა: „საჭიროების შემთხვევაში ჭიათურაში ჩავალთ, მაგრამ ამ ეტაპზე ვთვლით, რომ პრობლემას თავად კომპანია იაზრებს“

საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჭიათურაში ჩავალთ, მაგრამ ამ ეტაპზე ვთვლით, რომ თავად კომპანია იაზრებს პრობლემას და ღირსეულ შეთავაზებას გაუკეთებს მაღაროელებს.

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

ჭიათურაში მაღაროელების პროტესტის შესახებ კითხვაზე მან უპასუხა, რომ მოლაპარაკებები ორ მხარეს შორის, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დაიწყოს.

– ჩვენი სამინისტრო ძალიან დეტალურად არის ჩართული ამ პროცესებში. მედიაცია დაწყებულია პირველივე დღიდან და სახელმწიფო წარმოდგენილია შრომის ინსპექციით. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მთელ ამ ვითარებაში არის ის, რომ მაღაროელების უფლებები ცალსახად დაცული იყოს, მათ ჰქონდეთ უსაფრთხო, ჯანდაცვის მაღალი სტანდარტის შესატყვისი შრომის პირობები და ეკოლოგიური პირობები იყოს დაცული. რაც შეეხება ფინანსურ პაკეტს, შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებას, ამასაც ვადევნებთ თვალყურს, ვიცით, რომ კომპანიას აქვს გარკვეული შემოთავაზებები და ახლა მთავარია, რაც შეიძლება მალე ერთ მაგიდას მიუსხდეს ორივე მხარე და დაიწყოს მათ შორის კომუნიკაცია. კომუნიკაციას, მოლაპარაკებას ალტერნატივა არ გააჩნია. ჯერ-ჯერობით ვხედავთ, რომ ეს კომუნიკაცია ალბათ უკვე მომზადებულია და შედგება უახლოეს პერიოდში. პირველ რიგში, თავად ბიზნესს, კომპანიას უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომელიც ყველაზე მეტად ექმნებათ პრობლემა, რადგან მათი ბიზნესი პრაქტიკულად, გაჩერებულია, და ზარალობენ. უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გაიაზროს ეს პრობლემა და ნორმალური, ღირსეული შემოთავაზება გაუკეთოს თავის თანამშრომლებს. ეს პირველ რიგში, მათ ინტერესშია. რასაკვირველია, ჩვენ დაინტერესებულები ვართ, ეს კომუნიკაცია რაც შეიძლება, სწრაფად შედგეს, საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ადგილზე ჩავალთ, მაგრამ ამ ეტაპზე ვთვლით, რომ თავად კომპანია იაზრებს პრობლემას და ღირსეულ შემოთავაზებას გაუკეთებს მაღაროელებს და ასევე ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ თვითონ მაღაროელებიც, როგორც აქამდე პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ პროცესს, ახლაც პასუხისმგებლობით და კონსტრუქციულად ჩაერთვებიან მოლაპარაკებებში, – განაცხადა თურნავამ.

IPN

არჩილ გაჩეჩილაძე: „ლარის კურსი დღეს ცოტა უფრო მყარი უნდა იყოს“

– ცოტა უფრო მყარი უნდა იყოს დღეს ლარის კურსი!

ამის შესახებ „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე აცხადებს ლარის ბოლოდროინდელ რყევებთან დაკავშირებით.

მისი თქმით, ფუნდამენტური ანალიზი, მათ შორის „გალტ&თაგარტის“ ანალიზი, აჩვენებს, რომ ლარის კურსი მოკლე ვადაში მიმართული უნდა იყოს გამყარებისკენ.

– რთულია იმის თქმა, დღეს რა იწვევს... ლარის შეწონილი კურსი აჩვენებს, რომ ცოტა უფრო მყარი უნდა იყოს დღეს კურსი. მოკლე რყევები შეიძლება მოლოდინებიდან ან გარკვეული რისკების აღქმიდან გამომდინარეობდეს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ საკმაოდ მოკლე ვადაში ლარი გამყარდეს.

„გალტ&თაგარტის“ პროგნოზი უფრო 2.7-ის ფარგლებშია – იმ სავალუტო კურსებიდან გამომდინარე, რაც არსებობს ჩვენს რეგიონში. სავაჭრო პარტნიორების შეწონილი კურსები, ქვეყნის მათზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე და ინფლაციით დაკორექტირებული, მიუთითებს 2.7-ის ფარგლებში. 2%-3%-იანი გადახრა ფუნდამენტური კურსიდან ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს დამოკიდებულია დოლარის მოთხოვნა-მიწოდებაზე დოლართან მიმართებით, – აცხადებს არჩილ გაჩეჩილაძე.

BMG

სოსო გოგაშვილი თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალებაზე

„მე არ ვყოფილვარ იქ და ბრძანება არ გამიცია“

– მე მინდა, ეს ადამიანი მიხვდეს, რომ მე იქ დამნაშავე არ ვყოფილვარ, მე არ ვყოფილვარ იქ და ბრძანება არ გამიცია, – ეს განცხადება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილმა პირველმა მოადგილე იოსებ გოგაშვილმა კურიერისთვის მიცემულ ინტერვიუში მალხაზ მაჩალიკაშვილზე საუბრისას გააკეთა.

იოსებ გოგაშვილის განცხადებით, მისი მიზანია, რომ ვახა მაჩალიკაშვილმა გააანალიზოს, რომ მას პანკისის სპეცოპერაციის დროს 19 წლის ახალგაზრდის, თემირლანის მოკვლის ბრძანება არ გაუცია.

გოგაშვილის განცხადებით, მალხაზ მაჩალიკაშვილი მის წინააღმდეგ განაწყეს.

– ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომ მოხდეს ამ ადამიანის დაჭერა, ამ გამწარებული, როგორც თვითონ ამბობს, შურისმაძიებელი ადამიანის დაჭერა. მე მინდა, რომ ეს ადამიანი, ის და თავის მეუღლე და ოჯახი, რამენაირად დავაბრუნო იმ წერტილამდე, როდესაც მას დაუწყეს ჩაწვეთება იმის, რომ გოგაშვილმა გააკეთა ეს და ის ადამიანი მიხვდეს, რომ მე იქ დამნაშავე არ ვყოფილვარ, მე არ ვყოფილვარ იქ და ბრძანება არ გამიცია. ის დეზინფორმაცია, რაც მას თავში ჩაუდეს და რაც მან დაიჯერა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ არ დაგეგმავდა მკვლელობას, – განაცხადა გოგაშვილმა.

სოსო გოგაშვილი გეგმავს, რომ საგამოძიებო უწყებებს მისცეს ჩვენებას და დაუსახელოს იმ კონკრეტული პირების გვარებს, ვისზეც იცის, რომ მაჩალიკაშვილების ოჯახი შეცდომაში შეჰყავდათ.

გოგაშვილის თქმით, თემირლანის დედამ სპეცოპერაციაში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით საუბარი 19 წლის მოზარდის გარდაცვალების შემდეგ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ დაიწყო.

– ამ ადამიანმა გარკვეული პერიოდის შემდეგ თქვა ის და ეს პერიოდი იყო ის პერიოდი, როდესაც მასზე მუშაობდნენ, მასზე მუშაობდნენ კონკრეტული ადამიანები, მოვა დრო და მე ამას ვიტყვი. ოღონდ ჯერ გამოძიებას მინდა მივცე ჩვენება იმ ადამიანებზე, ვისზეც მაქვს მე ინფორმაცია, რომ მიზანმიმართულად შეცდომაში შეჰყავდა მედიკოც და ვახაც. ამ ადამიანებზე მე აუცილებლად მივცემ ჩვენებას, არ არის ერთი ადამიანი ეს, – განაცხადა გოგაშვილმა.

„რუსთავი 2“-ს ბოდიშს ვუხდით, ნასვამები ვიყავით“

ჟურნალისტებზე თავდამსხმელები გირაოთი გამოუშვეს

„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტზე თავდასხმაში ბრალდებულები ბრალს აღიარებენ და ბოდიშს უხდიან როგორც „კურიერის“ კორესპონდენტს, ასევე მთლიანად კომპანიას. ბრალდებულები განმარტავენ, რომ ნასვამები იყვნენ და თავი ვერ შეიკავეს.

„კურიერის“ ჟურნალისტზე თავდასხმაში ბრალდებულ პირებს სასამართლომ 3 ათას ლარიანი გირაო შეუფარდა.

ისინი წინასწარი პატიმრობიდან უკვე გაათავისუფლეს.

ედიშერ მუშკუდიანსა და ოპერატორ ბაკურ ჩიხლაძეზე თავდასხმის გამო 2 პირია პასუხისგებაში მიცემული.

– ვნანობ, ჩვენ რაც დავაშავეთ და გავაკეთეთ იმ პირის მიმართ, ვინც ახლა იმყოფება იმ მდგომარეობაში და ასევე ბოდიშს ვუხდით მას. ასევე, მთლიანად ტელეკომპანიას, – ამბობს ერთ-ერთი ბრალდებული, მურთაზ შალამბერიძე.

განმარტება გააკეთა თავდასხმაში კიდევ ერთმა ბრალდებულმა პირმა, რომელმაც განმარტა, რომ თავდასხმა აღელვების ნიადაგზე მოხდა.

– მადლობას ვუხდი ყველას, რომ ჩემს მდგომარეობაში შევიდა, ეს ყველაფერი მოხდა აღელვების ნიადაგზე... თავს დამნაშავედ ვგრძნობ და წერილით მივმართე და პირადად მოვიხადე ყველას მაგივრად ბოდიში, – ამბობს კიდევ ერთი ბრალდებული.

საქმის პროკურორების თქმით, მოსამართლის გადაწყვეტილებას საპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– ჩვენ მიერ მოთხოვნილ იქნა პატიმრობა, მითითებული იქნა ის საფრთხეები, რის გამოც ჩვენ ვთვლით, რომ სასამართლოს უნდა შეეფარდებინა პატიმრობა, თუმცა სასამართლომ მათ შეუფარდა გირაო 3.000 ლარი პატიმრობის უზრუნველყოფით. რაც ჩვენ მიერ გასაჩივრებული იქნება სააპელაციო სასამართლოში.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, კვლავ გადის მკურნალობას ედიშერ მუშკუდიანი, მისი მკურნალობის დასრულების შემდეგ, შესაბამისად, გამოთხოვილი იქნება ისტორია, ჩატარდება ექსპერტიზა და ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით გადაწყდება საბოლოოდ ამათი ბრალდება, – განაცხადა პროკურორმა ირინა მჟავიამ.

დაცვის მხარე კი სასამართლოს გადაწყვეტილებას ეთანხმება და განმარტავს, რომ ბრალდებული პირები ნასვამები იყვნენ.

საირმის ქუჩაზე მოსამართლის ჯიპი გაქურდეს

საირმის ქუჩაზე, სავარაუდოდ, საქალაქო სასამართლოს მოსამართლის კუთვნილი ავტომობილი გაქურდეს.

შემთხვევა 25 მაისს მოხდა.

ძვირადღირებულ ჯიპს ჩამსხვრეული აქვს ფანჯარა.

ადგილზე კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები მუშაობდნენ.

ავტომობილი რომ, სავარაუდოდ, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს ეკუთვნის, ამაზე საქარე მინაზე მოთავსებული საშვი მიუთითებს.

„კურიერის“ კამერასთან ავტომობილის პატრონი არ გამოჩენილა.

„რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, საირმის ქუჩაზე ბოლო დღეების განმავლობაში კიდევ რამდენიმე ავტომობილი გაქურდეს.

ახალქალაქში კიმ კუნგოიანი დააკავეს

24 მაისს ახალქალაქში, ნაციონალური მოძრაობის ახალქალაქის ორგანიზაციის თავმჯდომარე აშოტ რაისიანის ინფორმაციით, დააკავეს ოპოზიციის მხარდამჭერი კიმ კუნგოიანი.

როგორც რაისიანი განმარტავს, სამართალდამცავებმა მას, სავარაუდოდ, იარაღი ჩაუდეს.

აშოტ რაისიანის განცხადებით, 24 მაისს, დღის 2 საათზე, ქალაქის ცენტრში სპეცრაზმის 25-მდე წარმომადგენელმა ადგილობრივ პოლიციასთან ერთად დააკავა კუნგოიანი და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.

დაკავებიდან დაახლოებით 3 საათში მის სახლში დაიწყო ჩხრეკა.

დაკავებული კუნგოიანის სახლთან იმყოფებოდნენ მისი მეგობრები და ოჯახის წევრები. მათი თქმით, პოლიცია ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების დაშინებასა და დაშანტაჟებას ცდილობს.

აშოტ რაისიანი იხსენებს, რომ კუნგოიანი ნახევარი წლის წინაც დაიკავეს და პირდაპირ უთხრეს, რომ მას 24 საათი ჰქონდა ქვეყნის დასატოვებლად, თუმცა მაშინ მისი გათავისუფლება მოხერხდა. რაისიანი კუნგოიანის შევიწროებას დაკავებულის პოლიტიკურ სიმპათიებსა და ოპოზიციის მხარდაჭერას უკავშირებს.

მოგვიანებით კიმ კუნგოიანის დაკავებას შსს გამოეხმაურა.

უწყებაში აცხადებენ, რომ კუნგოიანი კრიმინალური ავტორიტეტია.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ახალქალაქში, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1992 წელს დაბადებული კ.კ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ ახალქალაქში კ.კ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ხუთი ვაზნა ამოიღო. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გიორგი ჭელიძეს 3,5 წელი მიუსაჯეს

„საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრ გიორგი ჭელიძეს სასამართლომ 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლოს ინფორმაციით, საბრძოლო მასალის შეძენა-შენახვის ბრალდების საქმეზე გ.ჭ. დამნაშავედ ცნეს.

– როგორც მერაბ კოსტავა ვერ გატეხეს, ისე ვერ გამტეხენ, – აღნიშნა სასამართლოზე ჭელიძემ.

„სასამართლომ განზრახი, მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულ გ.ჭ-ს 3 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 23 ცალი ქარხნული წესით დამზადებული საბრძოლო მასალა, 1943 წლის ნიმუშის 7,62 მმ კალიბრის სამხედრო დანიშნულების ვაზნა, განკუთვნილი 7,62 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატებისათვის, კარაბინისათვის, ხელის ტყვიამფრქვევებისათვის და სხვა. აღნიშნულ ვაზნებს ბრალდებული საცხოვრებელ სახლში მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა.

დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, უტყუარად დადასტურდა გ.ჭ.-ს მიერ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, რომელიც თავის მხრივ მომეტებული საფრთხის შემცველი ქმედებაა“ , – აღნიშნულია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გიორგი ჭელიძე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 2018 წლის 1-ლ სექტემბერს დააკავა.

როგორც უწყებაში აცხადებდნენ, მიმდინარე წლის 31 აგვისტოს სამართალდამცველებმა გამოძიება სოციალურ ქსელში მოძრაობა „საქართველოს ეროვნული ერთობის“ გვერდზე გავრცელებული ვიდეოს საფუძველზე დაიწყეს.

ქურდულ სამყაროზე ცრუ ჩვენებისთვის 3 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით 3 პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა თბილისში დააკავეს 1991 წელს დაბადებული ა.ნ., წალკაში კი -1983 წელს დაბადებული თ.ქ. და 1986 წელს დაბადებული თ.მ. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით, მოწმის სახით გამოკითხვის დროს, ცრუ ჩვენება მისცეს იმ პირთა სასამართლო პროცესებზე, რომლებსაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებში – „ქურდული სამყაროს“ წევრობაში, ქურდულ შეკრებაში მონაწილეობასა და ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერაში ედებათ ბრალი.

გამოძიება სასამართლოსთვის ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

წალენჯიხაში ხევში გადავარდა სატვირთო, რომელსაც პოლიცია მისდევდა

მძღოლმა ხასაიამ გადახტომა მოასწრო

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხოეწერში სატვირთო ავტომობილი ხევში გადავარდა.

სატვირთო მანქანას 30 წლის ადგილობრივი ელგუჯა ხასაია მართავდა. მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ელგუჯა ხასაიას, სავარაუდოდ, სამართალდამცავები დაედევნნენ, როდესაც მან საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა ხევში გადავარდა, თავად კი გადახტომა მოასწრო.

– ჩემი ძმა ტყეში იყო წასული მორების შესაგროვებლად, როდესაც, როგორც ჩვენ ვიცით, ხუთი პოლიციელი დადგა თავს. ემოციურ ფონზე წამოიყვანა მანქანა და გზაში ეს ამბავი მოხდა. მან საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა ხევში გადავარდა.

თვითონ მოასწრო გადახტომა. სახლში უნდა წამოსულიყო, მაგრამ არ მოსულა, პოლიციაში გვეუბნებიან, არ დაგვიკავებიაო, – განუცხადა „ინტერ-პრესნიუსს“ ელგუჯა ხასაიას ძმამ ნუკრი ხასაიამ.

შს სამინისტროში კი აცხადებენ, რომ გამოძიება მომხდარზე 177-ე, ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 25 მაისს, 1989 წელს დაბადებული ე.ხ. სატვირთო ავტომობილს მართავდა, რომელიც დატვირთული იყო მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული ხის მორებით.

სამართალდამცველებმა შეაჩერეს აღნიშნული ავტომობილი და გამოიძახეს გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები, რა დროსაც მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით ე.ხ.-მ დააგორა მორით დატვირთული ავტომანქანა და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, – აცხადებენ უწყებაში.

დონალდ ტრამპი იაპონიაში ჩავიდა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ოფიციალური ვიზიტით იაპონიაში ჩავიდა. მას იაპონიის პრემიერი აბე შეხვდა. მათ ერთად დაათვალიერეს ტოკიო.

ტრამპი დაესწრო იაპონიის ჩემპიონატს სუმოში.

აბესთან საუბარში ტრამპმა განაცხადა, რომ იაპონია-აშშ-ის ურთიერთობები უფრო მჭიდრო უნდა გახდეს.

– საამისოდ ერთ-ერთი საშუალება ბიზნესია! იაპონური ინვესტიციები ამერიკულ ეკონომიკაში უნდა გაიზარდოს! – თქვა ტრამპმა.

ხმელთაშუა ზღვაში 216 მიგრანტი გადაარჩინეს

ხმელთაშუა ზღვაში მალტის შეიარაღებულმა ძალებმა 216 მიგრანტი გადაარჩინეს, მათ შორის რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი და ერთი ორსული ქალიც იყო. გადარჩენილები მალტის სანაპიროზე გადაიყვანეს და სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს.

მიგრანტების აღრიცხვის შემდეგ ისინი თავშესაფარს მიიღებენ.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ათასობით ჩრდილოაფრიკელი და ახლოაღმოსავლელი მიგრანტი ცდილობს, ხმელთაშუა ზღვის გადაკვეთით ევროპის ქვეყნებში მოხვდეს. ისინი კუსტარულად დამზადებული ან გასაბერი ნავებით ცდილობენ ზღვის გადაკვეთას, თუმცა, წონის გადაჭარბების გამო, ხშირ შემთხვევაში ნავები იძირება და მიგრანტები იღუპებიან.

ამასთანავე, იტალიის ხელისუფლებამ მოსახლეობას ხმელთაშუა ზღვაში ნაოსნობა და მიგრანტების გადარჩენა აუკრძალა. მათ ასევე მოუწოდეს სხვა ქვეყნებს მსგავსი კანონის მიღებისაკენ.

პერუში 8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

15-ზე მეტი შენობა დაინგრა

გუშინ, 26 მაისს, პერუს ჩრდილოეთით 8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. 15-ზე მეტი შენობა დაინგრა.

დაშავებულია 6 ადამიანი. მათი რაოდენობა ჯერ კიდევ ზუსტდება.

მიწისძვრა ქვეყნის ყველა რეგიონში იგრძნობოდა. შენობების უმეტესობა დანგრეულია სან-მარტინისა და ლორეტოს რეგიონებში. ზოგიერთ ქალაქს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია.

ხელისუფლებამ მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

მიწისძვრის ეპიცენტრში, ლაგუნასის რეგიონიდან 83 კილომეტრში, სან-მარტინის რეგიონი იყო.

ინდონეზიის კუნძულ ბალიზე ვულკანი ამოიფრქვა

ინდონეზიის კუნძულ ბალიზე ვულკანი აგუნგი ამოიფრქვა, რის გამოც ქვეყანაში ასობით ავიარეისი გადაიდო.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ვულკანი ღამე ამოიფრქვა და კრატერიდან ამოსულმა ფერფლმა ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტების ნაწილი დაფარა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ვულკანის გააქტიურებისა, ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია საჭირო არ გამხდარა, რადგან ვულკანთან ახლოს საშიშ ზონაში დასახლებული პუნქტები არ არის.

ვულკან აგუნგის ყველაზე ძლიერი ამოფრქვევა 1963 წელს მოხდა, რომლის დროსაც 1000-მდე ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე სოფელი მთლიანად განადგურდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამი წლის ბავშვი სათამაშოების ავტომატში შეძვრა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ მენსფილდში ბავშვი სათამაშოების ავტომატში გაიჭედა, სადაც სათამაშო დათვისთვის შეძვრა.

37 წლის ნატალი დრეიპერმა თავისი შვილები დახურულ სათამაშო ცენტრში წაიყვანა. მან მცირე ხნით დატოვა თავისი უმცროსი ბიჭი ნოა მეგობართან სათამაშოდ, რათა მისი ძმა ტუალეტში წაეყვანა. როდესაც ქალი უკან დაბრუნდა, მასთან ქალმა მიირბინა და ჰკითხა, მისი შვილი ხომ არ იყო გაჭედილი სათამაშო ავტომატში.

დრეიპერი გაოგნდა, როდესაც ნოა სათამაშოების ავტომატში დაინახა. მან ცენტრის თანამშრომლებს სთხოვა, შვილის გამოყვანაში დახმარებოდნენ.

– ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საშინელი წუთები იყო, – განაცხადა ბავშვის დედამ.

ვინაიდან სათამაშო ავტომატი გარეშე კომპანიას ეკუთვნოდა, სათამაშო ცენტრში მისი გასახსნელი გასაღები არ აღმოაჩნდათ. ამიტომ ცენტრის თანამშრომლებს სამი საკეტის გატეხა დასჭირდათ, რათა სამი წლის ბავშვი ავტომატიდან ამოეყვანათ. საბედნიეროდ, ნოა არ დაშავებულა. მან დედას უთხრა, რომ შიგნით სათამაშო დათუნიასთვის შეძვრა.

მამაკაცს ყურში ტარაკანი ჩაუსახლდა

ვიეტნამის პროვინცია ბაკზიანგის მკვიდრმა მამაკაცმა ყურში ტკივილის გამო დახმარებისთვის ექიმს მიმართა. როგორც გაირკვა, მისი უსიამოვნების მიზეზი ტარაკანი აღმოჩნდა.

ექიმმა ვიეტნამელის ყურში მწერი ენდოსკოპის დახმარებით აღმოაჩინა, ვიდეოზე გადაიღო და პაციენტის თანხმობით სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. კადრებში ჩანს, თუ როგორ მოძრაობს მამაკაცის სმენის ორგანოში ცოცხალი ტარაკანი.

პაციენტს ძალიან გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ მის ყურში მწერი იყო ჩასახლებული. მისი ვარაუდით, ტარაკანი მას ყურში ძილის დროს შეუძვრა.

ექიმმა მამაკაცის ყურიდან მწერის ამოყვანა მას შემდეგ მოახერხა, რაც პაციენტს ყური გამოურეცხა. მისი თქმით, მამაკაცმა მას დროულად მიმართა. რომ დაეგვიანებინა, შესაძლოა, მწერს მისი სმენის ორგანო დაეზიანებინა.

23-ე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი გადარჩა

ჩინეთის ქალაქ ხანჩჟოუში მეხანძრეებმა გადაარჩინეს ბავშვი, რომელიც 23-ე სართულიდან სავენტილაციო შახტში ჩავარდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ექვსი წლის ბიჭი თავის მეზობელთან ბინაში თამაშობდა. სახლში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მშენებლებმა ორ აივანს შორის ბეტონის ფილა ხის დაფით შეცვალეს. ბავშვი მასზე შედგა და სავენტილაციო შახტში ჩავარდა.

ბიჭი გადარჩა. ის კონდიციონერზე დაეცა, რამაც დარტყმის ძალა შეასუსტა. ქალაქის სახანძრო სამსახურში დაუყოვნებლივ შევიდა შეტყობინება მომხდარის თაობაზე. ისინი შემთხვევის ადგილზე გავიდნენ. მაშველებმა ბავშვს მთამსვლელების მოწყობილობა გაუკეთეს, დაამშვიდეს და ზევით ასვლაში დაეხმარნენ. ბავშვის შახტიდან ამოყვანის ოპერაციას ექვსი წუთი დაჭირდა, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მან ზურგის არესა და ხელზე მხოლოდ რამდენიმე მსუბუქი დაზიანება მიიღო.

ჩიკაგოში იშვიათი შავი მარტორქა დაიბადა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს ზოოპარკში აღმოსავლური შავი მარტორქა გაჩნდა. ამის თაობაზე ინფორმაცია ზოოპარკის წარმომადგენლებმა ტვიტერში დაწესებულების ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნეს. აღსანიშნავია, რომ მარტორქის ეს სახეობა სრული გადაშენების პირას არის.

13 წლის მარტორქამ, სახელად კაპუკიმ, ჯანმრთელი ნაშიერი 20 მაისს გააჩინა. ფოტოსურათზე, რომელიც გამოქვეყნებულ ინფორმაციას თან ახლავს, ახალდაბადებული დედის მახლობლად, იატაკზე წევს, რამდენიმე საათის შემდეგ გადაღებულ ფოტოსურათზე კი პირველ ნაბიჯებს დგამს.

მალე კი ზოოპარკის თანამშრომლებმა კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია გამოაქვეყნეს – ახალშობილმა დედის რძით კვება დაიწყო. ცხოველების ზედამხედველებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაბადებიდან პირველ 48 საათში ახალდაბადებულის ფორმირების აქტიური პროცესი მიმდინარეობს და ამიტომ მას დამატებითი ყურადღება სჭირდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქართული კლასიკო დინამომ მოიგო. სათავეში ორხელისუფლებიანობაა

<u>დინამო (თბ)-ტორპედო 2:1</u>

თბილისი. „დინამო არენა“

1:0 ივანისენია (30), 1:1 დოლიძე (62), 2:1 შენგელია (78)

დინამო: პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუბი, კობოური (ნ.იაშვილი 72), შულაია, პაპავა (ქარდავა 75), ივანისენია, შენგელია, ნინუა (ზარია 82), კუტალია

ტორპედო: კვასხვაძე, აზაცკი, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, ცინცაძე, გიგაური (ჭიჭინაძე 75), ნ.ქავთარაძე, წიქარიძე (თ.კაპანაძე 68), დოლიძე (ლუკა 65), ქიმაძე, ზივზივაძე

ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისის დინამოს გამარჯვებით დასრულდა. ქართული დერბი, რომელსაც დინამო არენამ უმასპინძლა და დედაქალაქელებმა 2:1 მოიგეს. დინამომ სამმატჩიანი წაგებათა სერია ქართულ დერბიში მოგებით დაასრულა.

მატჩი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და მე-3 წუთზე ხოსე პერალესს მოუწია საკუთარი გუნდის გადარჩენა, როდესაც გრიგოლ დოლიძის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი უკუბგდო. შეხვედრა ურთიერთშეტევებში და თვალსასეიროდ გაგრძელდა.

ანგარიში 30-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც ლევან შენგელიას ჩაწოდებას რიკოშეტი მოჰყვა და ბურთი პირდაპირ დმიტრო ივანისენიას დაჯდა ფეხზე, მანაც ძლიერი დარტყმით რომ კვსხვაძე უშანსოდ დატოვა.

საპასუხოდ ტორპედოს მწვავე შეტევა და დინამო ხიფათს გადაურჩა. 10 წუთში დინამოელთა შეტევა, ლევან შენგელიას ჩაწოდება და ლევან კუტალიას უძლიერესად დარტყმული ზევიდან გადაევლო ქუთაისელთა კარის ხარიხას.

მე-2 ტაიმი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და 62-ე წუთზე გრიგოლ დოლიძემ წონასწორობა აღადგინა. დინამოელებს ცოტა ხანში ისევ შეეძლოთ დაწინაურება, ლევან შენგელიას დარტყმული ბოლო წამს რომ კვასხვაძემ მოიგერია. ამის შემდეგ ნიკა ნინუამ ითამაშა ტექნიკურად, გასცდა რამდენიმე მეტოქეს, თუმცა ბოლო მომენტში დარტყმა დააყოვნა და სიტუაციაც განიმუხტა.

78-ე წუთზე დინამოელთა შეტევებმა შედეგიც გამოიღო, ნინუას პასის შემდეგ შენგელია კარგად გაისარჯა და დინამო ისევ წინ გავიდა – 2:1.

დარჩენილ დროში აღარაფერი შეცვლილა.

<u>დილა-საბურთალო 1:1</u>

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 დიასამიძე (67), 1:1 კუცია (76)

დილა: გუგეშაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, ე.სანტოსი (კოუგბენია 70), გრიგალაშვილი (კუცია 72), ნონდი, რაზმაძე, ნონიკაშვილი, სპანდერაშვილი, პაიმი (ფორტესი 65)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, კაკუბავა, გონსალვესი, შინდგორიძე (დიასამიძე 61), ტერა, აღთუნაშვილი, დვალიშვილი (გორგიაშვილი 73), გი (როლოვიჩი 67)

პირველი ტაიმი ჩაკეტილი გამოდგა – საბურთალო ფლობდა სათამაშო უპირატესობას, თუმცა თავიდანვე ჩანდა, რომ დილას კარის უსაფრთხოებაზე ჰქონდა აქცენტი გაკეთებული. საწყის 45 წუთში გამოსარჩევი ვლადიმერ დვალიშვილის დარტყმული იყო, მაგრამ ფორვარდის ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმში გულშემატკივარმა სანახაობრივი თამაში იხილა, მომენტებიც მრავლად შეიქმნა, ძირითადად სტუმრების მონაწილეობით. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ინტერ გის ჰქონდა, როდესაც ახლო მანძილიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა. მალე კი დვალიშვილს მიეცა გატანის შანსი, მაგრამ თავით ანგარიშის გახსნა ვერ შეძლო. ერთ-ერთ ეპიზოდში ცვლილებაზე შესული ალვინ ფორტესი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ მასპინძლის გასროლილი მცირედით ასცდა საბურთალოს კარის ჩარჩოს.

67-ე წუთზე კი დედაქალაქელები დაწინაურდნენ – გეგა დიასამიძემ, რომელმაც 2 ტური ტრავმის გამო გამოტოვა, მინდორზე შემოსვლიდან 6 წუთში შორეული დარტყმიდან გაიტანა – 1:0. თუმცა, ისე მოხდა, რომ ქართლელებმა მალევე გაათანაბრეს, როდესაც საკუთარი საჯარიმოდან სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს. ფორტესმა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი გიორგი კუციამ თავით ყველას დაასწრო და ანგარიში 1:1 გახადა.

დარჩენილ დროში საბურთალოელებს რამდენჯერმე მიეცათ წინ გასვლის საშუალება – ჯერ თორნიკე გორგიაშვილის მარჯვენა ფეხით დარტყმული მცველებმა მოიგერიეს, შემდეგ კი ასპროცენტიანი მომენტი ოგნიენ როლოვიჩს შეექმნა, მაგრამ ჩერნოგორიელის დარტყმული ბურთი მეკარე გუგეშაშვილმა სასწაულებრივ მოიგერია.

<u>ჩიხურა-დინამო (ბთ) 1:2</u>

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ჩიხლაძე (18), 1:1 ფლმარიონი (33), 1:2 ჯანელიძე (81)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი (იონანიძე 83), მაისაშვილი, კორიფაძე, კაშია, მამასახლისი, მახარობლიძე (მარკოზაშვილი 66), სარდალიშვილი, ჩიხლაძე, ფანცულაია (მუმლაძე 78), დეკანოიძე

დინამო: ალავიძე, ა.სანტოსი, ადამაძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, ტეიდი, მამუჩაშვილი, ჯანელიძე, რამოსი (გაფრინდაშვილი 65), საბანაძე (რ.ჭანტურია 75), ფლამარიონი (თევდორაძე 84)

უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა ბათუმის დინამომ, რომელმაც საჩხერის ჩიხურა სტუმრად 2:1 დაამარცხა.

გია გეგუჩაძის გუნდმა, მატჩი, რომელსაც აგებდა შემოატრიალა და მძიმე ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შემდეგ სატურნირო ცხრილს ისევ სათავეში ჩაუდგა.

შეხვედრაში ანგარიში მასპინძლებმა მე-18 წუთზე დემურ ჩიხლაძის მიერ გატანილი გოლით გახსნეს, მაგრამ წონასწორობის აღდგენა ბათუმელებმა მალევე შეძლეს – 33-ე წუთზე საჩხერელთა კარში გოლი ჯოვინო ფლამარიონმა გაიტანა, რომელმაც მასპინძლებს ზედიზედ დაშვებული რამდენიმე შეცდომა არ აპატია – 1:1.

მეორე ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. სოსო ფრუიძის გუნდი პერიოდულად მეტოქის კართან სიტუაციას ამწვავებდა, თუმცა გოლის გატანამდე საქმე არ მივიდა. თამაშის მიწურულს ბათუმელებმა მეორედაც შეარხიეს დინო ჰამზიჩის კარის ბადე – გამარჯვების მომტანი გოლი გიორგი ჯანელიძემ გაიტანა.

<u>ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი 0:3</u>

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 კირკიტაძე (34), 2:0 სიხარულიძე (46), 0:3 ძებნიაური (76)

ვიტ ჯორჯია: ნ.ქავთარაძე, გაფრინდაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩიტიშვილი (ლაცაბიძე 72), საჯაია, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი (მუჯირი 66), ვასაძე, კაკაშვილი, ღირდალაძე (კურდღელაშვილი 82), მუსელიანი

ლოკომოტივი: ბულისკერია, ნ.ჭანტურია, კომახიძე, უბილავა. სამურკასოვი (შეყილაძე 80), შონია, გვალია, ო.კობახიძე (დავითაშვილი 73), ძებნიაური, თ.კირკიტაძე (ჯიქია 77), სიხარულიძე

ვიტ ჯორჯია ისედაც აუტსაიდერთა შორის იყო, ხოლო ცნობილი მოვლენების შემდეგ საკადრო პრობლემებიც მრავლად დაუგროვდა და მთავარ მწვრთნელს ვლადიმერ ხაჩიძეს იძულებითი ცვლილებები განხორციელება მოუწია.

„ვეტერინარები“ მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ეს მათ თამაშსაც დაეტყო და ლოგიკური ანგარიშით დამარცხდნენ.

თბილისის ლოკომოტივმა კი, ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო და სატურნირო ცხრილში სიტუაცია გამოიკეთა.

<u>სიონი-რუსთავი 3:3</u>

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

0:1 ციცქიშვილი (5), 0:2 მაქაცარია (11სკ), 0:3 სილაგაძე (61), 1:2 კირკიტაძე (84), 2:3 გუჯაბიძე (88სკ), 3:3 ხმალაძე (901)

სიონი: ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი (უგულავა 72), აფაქიძე, სუხიაშვილი, დ.კირკიტაძე, თარხნიშვილი, ხმალაძე, სიხარულია (ვ.ისიანი 55), თარგამაძე, მაქაცარია (ქიქავა 75)

რუსთავი: მამარდაშვილი, ც.კაპანაძე, ტაკულოვი, ლ.გადრანი, სილაგაძე (ჩოგაძე 89), გუჯაბიძე, ქოჩლაძე, გისტაროვი, ციცქიშვილი (ფონიავა 80), იმნაძე, ყიფიანი (ჯაფიაშვილი 77)

გაძევება: ისიანი (64), თარგამაძე (64), ქოჩლაძე (64), გადრანი (64)

ბოლნისში გამართული მატჩი დრამატული გამოდგა. გულშემატკივრებმა 6 გატანილი გოლი და 4 წითელი ბარათი იხილეს.

სტუმრებმა ანგარიში დებიუტშივე ზაზა ციცქიშვილის მიერ გატანილი გოლით გახსნეს, რასაც მე-12 წუთზე კიდევ ერთი ბურთი მოჰყვა. ორამდე უპირატესობა რუსთავმა თამაზ მაქაცარიას ავტოგოლის წყალობით გაზარდა.

მეორე ნახევარი ისევ ვარლამ კილასონიას გუნდის უპირატესობით დაიწყო. 61-ე წუთზე ლუკა სილაგაძემ სიონს მესამე გოლი გაუტანა. 3 ქულის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თამაშის სცენარი სხვაგვარად განვითარდა.

სილაგაძის მიერ გატანილი გოლის შემდეგ ფეხბურთელებს შორის ვითარება დაიძაბა და მატჩის მთავარ არბიტრს მოედნიდან 4 ფეხბურთელის გაძევება მოუწია. გუნდები მოედანზე 9-9 კაციანი შემადგენლობით დარჩნენ.

თამაშის მიწურულს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მასპინძლებმა რუსთავის კარში 7 წუთის განმავლობაში 3 გოლი გაიტანეს და ქულის მოპოვება შეძლეს. 84-ე წუთზე სტუმართა კარი დათო კირკიტაძემ აიღო, 87-ე წუთზე ზურაბ ჯაფიაშვილმა ავტოგოლი გაიტანა, ხოლო ქულის მომტანი ბურთი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ლევან ხმალაძემ შეაგდო.

1.საბურთალო	15	10	1	4	31-22	31
2.დინამო (ბთ)	15	10	1	4	24-15	31
3.ტორპედო	15	8	2	5	25-20	26
4.დინამო (თბ)	15	7	2	6	27-19	23
5.ჩიხურა	15	5	7	3	21-13	22
6.სიონი	15	6	3	6	21-33	21
7.დილა	15	5	3	7	13-14	18
8.ლოკომოტივი	15	6	0	9	20-22	18
9.რუსთავი	15	2	5	8	17-29	11
10.ვიტ ჯორჯია	15	3	2	10	7-19	11

საუკეთესო ხუთეულში მეფის ადგილი არ არის

100 ამერიკელი ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად გაირკვა ნბა-ს 2018-19 წლის სეზონის სიმბოლური ხუთეული.

პირველ ხუთეულში იანის ანტეტეკუმპო (მილოუკი), სტეფ კარი (გოლდენ სტეიტი), პოლ ჯორჯი (ოკლაჰომა), ჯეიმს ჰარდენი (ჰიუსტონი) და ნიკოლა იოკიჩი (დენვერი) მოხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ ლებრონ ჯეიმსი მხოლოდ მესამე ხუთეულში მოხვდა – მეფესა და მის ლოს ანჯელეს ლეიკერსს წარუმატებელი სეზონი გამოუვიდა. ლებრონის კალიფორნიაში მისვლის შემდეგ მოვლენები არც ისე სახარბიელოდ განვითარდა. ჯერ იყო და ლოსანჯელესური კლუბი ფლეი ოფში ვერ გავიდა, რაც ლებრონის 15-წლიან კარიერაში მესამე, 2007 წლის შემდეგ კი პირველი შემთხვევა იყო. შემდეგ 34 წლის კალათბურთელი წლის საუკეთესოთა გუნდშიც ვერ მოხვდა.

კლივლენდისა და ლეიკერსის ყოფილი ლიდერი პირველი ხუთეულის მიღმა ბოლო 12 წელიწადში პირველად დარჩა.

მეორე სიმბოლურ ხუთეულში მოხვდნენ: დემიენ ლილარდი (პორტლენდი), კაირი ირვინგი (ბოსტონი), კევინ დურანტი (გოლდენ სტეიტი), კავაი ლეონარდი (ტორონტო რეპტორსი), ჯოელ ემბიდი (ფილადელფია).

მესამე ხუთეული: კემბა უოკერი (შარლოტ ჰორნეტსი), რასელ ვესტბრუკი (ოკლაჰომა), ლებრონ ჯეიმსი (ლოს ანჯელესი), ბლეიკ გრიფინი (დეტროიტი) და რუდი გობერი (იუტა ჯაზი).

გეტყვით იმასაც, რომ არც ერთ ხუთეულში არ მოიძებნა ადგილი გოლდენ სტეიტის კალათბურთელ კლეი ტომპსონისთვის, რომელმაც ასეთი კომენტარი გააკეთა:

– არაფერი მაქვს იმ მოთამაშეების საწინააღმდეგო, რომლებიც ხუთეულებში მოხვდნენ, მაგრამ ჩემთვის ფინალში ზედიზედ მეხუთედ გასვლა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე სიმბოლურში მოხვედრა.

ბასილაშვილი ნახევარფინალში დამარცხდა



ლიონში გამართული 250-იანი სერიის ტურნირის ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილი ნიკოლოზ ბასილაშვილი 18 წლის კანადელ ფელიქს ოჟე-ალიასიმს შეხვდა და 3 სეტში დამარცხდა – 6:2, 6:7, 4:6.

მატჩი 2 საათსა და 15 წუთს გაგრძელდა. პირველ სეტში ბასილაშვილის უპირატესობა შესამჩნევი იყო, მეორეში ყველაფერი ტაი ბრეიკმა გადაწყვიტა, ხოლო გადამწყვეტ სეტში კანადელმა იმძლავრა, ჩვენებურს ერთი მოწოდება აართვა და საქმე ბოლომდე მიიყვანა.

ბასილაშვილმა მეორედ ითამაშა ლიონის ტურნირის ნახევარფინალში, მაგრამ ფინალში ვერც ერთხელ გააღწია.

ახლა ბასილაშვილი როლან გაროსზე გადაინაცვლებს, სადაც კარიერაში პირველად არის განთესილთა შორის და არგენტინელ ხუან იგნასიო ლონდეროს შეხვდება. დღეიდან კი ნიკა მსოფლიოს მე-16 ჩოგანი იქნება, რაც მისი კარიერის მიღწევაა.

ქართველიშვილი ევროპულ აღმასკომში აირჩიეს

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭოს წევრად აირჩიეს. ეს ამბავი გერმანიის ქალაქ მიუნხენში გადაწყდა, სადაც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტთან ერთად აირჩიეს აღმასრულებელი საბჭოს წევრები.

ეს არის პირველი შემთხვევა ისტორიაში, როცა საერთაშორისო საკალათბურთო ორგანიზაციაში ქართველს ასეთ მაღალ თანამდებობაზე ირჩევენ.

ფიბა-ევროპის პრეზიდენტად კი კვლავ თურგაი დემირი აირჩიეს, რომელმაც არჩევნებში სერბეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დეიან ტომაშევიჩი დაამარცხა.

შედეგები

25 მაისი

<u>ფეხბურთი</u>

ესპანეთი. თასი

ფინალი

ბარსელონა-ვალენსია 1:2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მაჰადაონდა-კორდობა 0:0

ოსასუნა-ლას პალმასი 2:0

ხიხონი-ალბასეტე 0:2

გერმანია. თასი

ფინალი

ლაიფციგი-ბაიერნი 0:3

იტალია. სერია ა

ფროზინონე-კიევო 0:0

ბოლონია-ნაპოლი 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	37	28	6	3	70-28	90
2.ნაპოლი	38	24	7	7	74-36	79
3.ატალანტა	37	19	9	9	74-45	66
4.ინტერი	37	19	9	9	55-32	66
5.მილანი	37	18	11	8	52-34	65
6.რომა	37	17	12	8	64-47	63
7.ტორინო	37	15	15	7	49-36	60
8.ლაციო	36	17	8	12	55-43	59
9.სამპდორია	37	14	8	15	58-51	50
10.ბოლონია	38	11	11	16	48-56	44
11.სასუოლო	37	9	16	12	52-57	43
12.სპალი	37	11	9	17	42-53	42
13.კალიარი	37	10	11	16	35-52	41
14.პარმა	37	10	11	16	40-59	41
15.ფიორენტინა	37	8	16	13	47-45	40
16.უდინეზე	37	10	10	17	37-52	40
17.ემპოლი	37	10	8	19	50-68	38
18.ჯენოა	37	8	13	16	39-57	37
19.ფროზინონე	38	5	10	23	29-69	25
20.კიევო	38	2	14	22	25-75	17

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

ჰოხტგაღია. თასი

ფინალი

სპორტინგი-პორტუ ..... 1:1(5:4პ)

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-ქსამაქსი 4:1

ლუგანო-გრასჰოპერსი 3:3

სიონი-თუნი 0:1

ციურიხი-სტ.გალენი 1:1

იანგ ბოიზი-ლუცერნი 4:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-მატერსბურგი 4:0

რაპიდი-ალტახი 1:2

ჰარტბერგი-ადმირა 3:1

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-ესბიერგი 1:2

ოდენსე-ესბიერგი 0:2

კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი 1:3

ნორვეგია. ელიტსერია

ვალერენგა-ლილესტრიომი 0:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცს სანთებელა ცხელ წვნიანში ჩაუვარდა, რასაც აფეთქება მოჰყვა

ჩინეთის პროვინცია იუნანის ქალაქ კუნმინში, ოფიციანტმა გოგონამ დამწვრობები მას შემდეგ მიიღო, რაც ცხელ წვნიანში სანთებელა აფეთქდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ჩინეთის პოპულარული რესტორნების ქსელის ერთ-ერთ დაწესებულებაში მამაკაცს სანთებელა ცხელ წვნიანში იმ დროს ჩაუვარდა, როდესაც მას მეგობარს აწვდიდა. ვიდეორგოლში ჩანს, რომ ოფიციანტი გოგონა მის ამოღებას ცდილობს წვნიანი ხოგოდან (ბულიონი ქვაბში, რომელიც პირდაპირ მაგიდაზე იხარშება და რომელშიც შეიძლება ხორცის, ლაფშის, ტოფუსა და ბოსტნეულის ჩამატება), მაგრამ ძალიან მაღალი ტემპერატურის გამო სანთებელა წვნიანში ფეთქდება. მდუღარე ბულიონის შხეფები რესტორნის თანამშრომელსა და ერთ-ერთ კლიენტს ხვდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებულები დამწვრობებით დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამჟამად მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პატიმრისგან დაფეხმძიმებული ზედამხედველი ციხეში ჩასვეს

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში კირკლენდის მკაცრი რეჟიმის ციხის ზედამხედველი ქალი მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც ცნობილი გახდა, რომ ის პატიმრისგან დაფეხმძიმდა.

29 წლის გრეშიკა ჯინ ბრაუნმა რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთხელ დაამყარა სქესობრივი კავშირი ერთ-ერთ პატიმართან. სამხრეთ კაროლინის გამოსასწორებელი დაწესებულების დეპარტამენტის სამსახურის პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ ქალი ფეხმძიმედ იყო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მათ ფეისბუქსა და მობილურ ტელეფონში სმს-ს გზავნილებს გაეცნნენ. ამის შემდეგ ის დააპატიმრეს.

ბრაუნს პირველი ხარისხის სქესობრივი დანაშაულის ჩადენა და სამსახურში კანონსაწინააღმდეგო ქმედება დასდეს ბრალად. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის ამჟამად რიჩლენდის საოლქო ციხეში იმყოფება.

ქალეიდოსკოპი

გოგონას ოთხი ზედმეტი თითი მოაჭრეს

ჩინეთში ექიმებმა ოპერაცია გაუკეთეს გოგონას, რომელიც თოთხმეტი თითით დაიბადა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

სამი წლის ბავშვი, რომლის ვინაობა არ ვრცელდება, ღარიბ ოჯახში დაიბადა. მისი ნათესავების ხუთ თაობას ასეთივე დეფექტები ჰქონდა, მაგრამ მათ ოპერაციის გასაკეთებლად ფული არასოდეს ჰყოფნიდათ.

გოგონას დახმარება ლიანონის პროვინციის ქალაქ შენიანის ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმებმა აღმოუჩინეს. ისინი მის მშობლებს დაჰპირდნენ, რომ ბავშვს ხელებს გაულამაზებდნენ და ის ყველა თითის მოძრაობას შეძლებდა.

– გოგონას ყოველ ხელზე ორი ზედმეტი თითი ჰქონდა, ასეთ რამეს კი ხშირად ვერ ნახავ. ჩვენს საქმეს ის ართულებდა, რომ ძნელი გასარკვევი იყო, რომელი თითები იყო ზედმეტი, რომლები უნდა მოგვეშორებინა და რომლები დაგვეტოვებინა, – აღნიშნა ქირურგმა ჩჟან ცზემ.

საბოლოოდ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ექიმებმა არა მხოლოდ ზედმეტი თითები მოაშორეს, არამედ ცერა თითების ფორმის კორექციაც განახორციელეს და მათი ზრდის მიმართულება ლითონის სამაგრების დახმარებით შეცვალეს.

ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ გოგონა თავს კარგად გრძნობს. უცნობია, ბავშვის მკურნალობა უფასოდ განხორციელდა თუ ფული გადაიხადეს.

მამაკაცმა გულში ისროლა და გადარჩა

იტალიის ქალაქ ტურინში ექიმებმა წარმატებით მოახერხეს სხეულიდან არბალეტის ისრის ამოღება, რომელიც გულში ღრმად იყო შესული.

47 წლის მამაკაცი ტურინის ქალაქის საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. ექიმებმა სასწრაფო ოპერაცია გააკეთეს, რომლის დროსაც უცხო სხეული ამოიღეს. სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლებმა მომხდარი აღწერეს, როგორც უკიდურესად იშვიათი შემთხვევა, ვინაიდან ისარი მკერდში 30 სანტიმეტრის სიღრმეზე იყო შესული.

ექიმებმა აღნიშნეს, რომ ისრის წვერმა გულის მარცხენა პარკუჭი დააზიანა და ფილტვი გახვრიტა. ამ ყოველივეს მიუხედავად, დაზიანებებს მამაკაცის მყისიერი დაღუპვა არ გამოუწვევია. ისრის ამოღების პროცედურას მათ უკიდურესად რთული უწოდეს, ვინაიდან ამას შესაძლოა უკონტროლო სისხლდენა გამოეწვია.



როგორ მოხვდა ისარი მამაკაცს გულში, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება. ექიმები ვარაუდობენ, რომ ის არბალეტს სინჯავდა და ამ დროს შემთხვევით მკერდში ისროლა. ამჟამად მისი მდგომარეობა სტაბილურად ფასდება.

მსოფლიოში ყველაზე პატარა „მაკდონალდსი“ გაიხსნა

შვედეთში „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების რესტორნის შემცირებული ასლი შექმნეს, რომელიც ფუტკრების საბინადროს წარმოადგენს. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს,ეს ამ ბრენდის ყველაზე პატარა დაწესებულებაა.

კონსტრუქცია ათასობით ფუტკარს იტევს: შიგნით 10 ფუტკრის ფიჭაა მოთავსებული. მიუხედავად მინიატურული ზომებისა, უჩვეულო სკა სრულად იმეორებს რესტორანის დიზაინს.

სწრაფი კვების რესტორნის სახის სკი დამზადება ფუტკრის მსოფლიო დღეს მიეძღვნა, რომელიც 20 მაისს აღინიშნება. მის შექმნაში მონაწილეობდა დიზაინერი ნიკლას ნილსონი. „მაკდონალდსის“ შვედური განყოფილების მფლობელები ასეთი სკების რამდენიმე რესტორნის სახურავზე განთავსებას აპირებენ.

102 წლის ქალმა 92 წლის ქალის მკვლელობა აღიარა

საფრანგეთის კომუნა შეზი-სიურ-მარნში მოხუცებულთა სახლის მცხოვრები 92 წლის მეზობლის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

ეჭვმიტანილმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ერთ-ერთ მომვლელს გაუმხილა, რომ მან ადამიანი მოკლა. დაწესებულების თანამშრომელმა გარდაცვლილი ქალი საწოლში მწოლიარე ნახა. მას სახეზე მრავლობითი დაზიანებები ეტყობოდა. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ მოხუცებული ქალბატონი გაგუდვისა და თავში ცემისგან გარდაიცვალა.

ამ დროისთვის 102 წლის ქალბატონი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება. სპეციალისტები მის მდგომარეობას სწავლობენ, რათა დადგინდეს, შეიძლება თუ არა მისი პასუხისგებაში მიცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხდი

1. ინტერნეტით დისტანციური საუბრის საშუალება; 2. ქალაქი რაჭაში; 3. ჯ.მაზინას კინოროლი; 4. მდინარე იტალიაში; 5. ალმასის სახესხვაობა; 6. მსხვილი საფინანსო-სავაჭრო გარიგებების ადგილი; 7. შვლის ნაშიერი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 9. სერბი პოეტი (1876-1938); 10. ბედ-იღბალი; 11. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 12. ...-ა-... ანუ პირისპირ; 13. იტალიური მოხდილი ყველი; 14. იგივეა, რაც ლეოპარდი; 15. ათენის ცენტრის აკროპოლისის ძირითადი ნაგებობა; 16. ხანა, ეპოქა; 17. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ჭადრაკში; 18. პატარა სარწყავი არხი; 19. მთავრობის დადგენილება პატიმართა სასჯელის შემსუბუქების ან მოხსნის შესახებ; 20. ... აგასი; 21. მსხვილი მონარქიული სახელმწიფო; 22. მტრედების რაზმის გადაშენებული ფრინველი; 23. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობის დროს; 24. ავსტრია-გერმანიის თოჯინების თეატრის კომიკური პერსონაჟი; 25. ქალბატონი (ფრანგულად); 26. ავსტრალიური სირაქლემა; 27. შეუწვავი, მოუხარშავი; 28. რისამე განუწყვეტლივ ჩატარება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 29. ლალი ... (დრამატურგი); 30. მამალი ცხენი; 31. ქიმიური ელემენტი.

ნინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბრინჯაო; 2. ბოხოხი; 3. ჩაინტაუნი; 4. მუჯირი; 5. მელბურნი; 7. უშბა; 11. ზვიგენი; 13. დეფექტი; 15. არაყი; 16. გაუდა; 18. რახტი; 19. ტუმბო.

თარაზულად: 6. რატუშა; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯანაოზი; 12. სილვა; 14. წიქარა; 17. ნეფერტიტი; 20. სპეკალი; 21. ჭყვიში; 22. ტაიბეი; 23. ბასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყუმი; 2. აპაჩი; 3. შრატი; 5. ნადუღი; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. მეი; 16. ბატიკა; 18. რიგა.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. საბენა; 8. ტრიბუნი; 12. აკაბა; 13. ამქარი; 15. ედიტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ყანწი; 21. სამაია.

სპორტი

ქუთაისმა სერია გაათანაბრა

ქუთაისი-დელტა 82:70
(27:15, 15:26, 18:14, 22:15)

სუპერლიგის ფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა. პირველ მატჩში დამარცხების შემდეგ ვიცეჩემპიონმა ქუთაისმა 82:70 დაამარცხა დელტა და ჩემპიონობის შანსი გაიუმჯობესა.

მატჩს რაც შეეხება, საკმაოდ დაძაბულ და ემოციურ



გარემოში ჩაიარა. ქუთაისელებმა, ფაქტობრივად, მთავარი მწვრთნელის, კოტე ტუღუშის გარეშე მოიგეს. შეხვედრის მეორე პერიოდში, ქუთაისელები 17 ქულით იგებდნენ – 34:17, მაგრამ ეს უპირატესობა გაფლანგეს და ერთ-ერთ ეპიზოდში მასპინძელთა მწვრთნელი მოედანზე შევიდა – მსაჯის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. ტუღუშის მტკიცებით, მისი გუნდის წევრი დავით ლომიძე ჯარიმას არ იმსახურებდა, რადგან, მისი აზრით, მეტოქისგან ადგილი ჰქონდა სიმულაციას. მსაჯებმა ქუთაისელთა მწვრთნელი თამაშიდან გააგდეს, იმერულ კლუბს კი 38:38 ანგარიშზე ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა.

ტუღუშის საქმე მისმა ასისტენტებმა გააგრძელეს, მოთამაშეები კი უფრო შეიკვრნენ და ღირსეული ბრძოლით ნელ-ნელა უპირატესობა მოიპოვეს, რომელიც თამაშის ბოლომდე შეინარჩუნეს.

ქუთაისელთაგან 24 ქულით ბომბარდირი გიორგი ბარბაქაძე გახდა. 20 ქულა მოაგროვა აკაკი დვალიშვილმა, ჯონათან ლის ანგარიშზე კი 13 ქულა, 9 მოხსნა და 9 პასი დაგროვდა. დელტაში 13-13 ქულა დააგროვეს მალკოლმ დრამრაითმა და არტიომ შვეცმა.

მოამზადა მიხეილ ფორფოლიანმა

ასტროპროგნოზი 27 მაისისთვის

ვერძი – სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. ხანდახან კომპრომისზე წასვლა საქმეს უფრო წაადგება. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **კურო** – ჰარმონიული დღეა. სამართლიანობა ზეიმობს. მიზანს საკმაოდ იოლად აღწევთ. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში წვრილმან საქმეებზე დიდ დროს დახარჯავთ. საღამო პოზიტიური იქნება. **კირჩხიბი** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი. კარგი პერიოდია ქალაქგარეთ გასასვლელად, სამოგზაუროდ. **ლომი** – ახლობელთან კონფლიქტი გელით. სკანდალს მხოლოდ თავდაჭერითა და გონივრულობით აიცილებთ. **ქალწული** – მეგობრები საკმაოდ ჭკვიანურ რჩევას მოგცემენ, რაც სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. **სასწორი** – გაიფართოვეთ ნაცნობობის წრე. გამორიცხული არ არის, თქვენმა კომუნიკაბელურობამ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე გავლენა მოახდინოს. **ღრიანკალი** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. შეგიძლიათ, თამამად გარისკოთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება, ოღონდ ეს ძვირფას ნივთებს არ ეხება. **თხის რქა** – გადაღლილი ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება. ერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებს. **მერწყული** – სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. ხანდახან კომპრომისზე წასვლა საქმეს უფრო წაადგება. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **თევზები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. კომერციული საქმიანობა დღეს არასასურველია. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

მიშო სულუხიას სცენაზე დენმა დაარტყა

მომღერალ მიშო სულუხიას ამ უქმეებზე ერთ-ერთი კონცერტის დროს სცენაზე დენმა დაარტყა.

– შენ ხომ ისედაც ნერვები გეთხრება, რომ მოტოციკლეტით ხარ და გაგიწვიმდა, მიდიხარ შენი ჭკუით ფრთხილად, რომ უფრო მეტად არ დასველდე და არ მოცურდე, ამ დროს კი სავსე ავტობუსი გვერდით ამოგიდგება და წყლის ფარდას არ მოგაკლებს ისე, რო დუბაის ფანტანს შეშურდება. ფანჯარას მოწებებული ხალხი კი მომენტალურად კარგ ხასიათზე დგება.

ეჰ, ჯანდაბას ამდენი დაღლილი ადამიანის ღიმილად ჩემი სისველე მიღირს, თან ჩაფხუტში ვინ მიცნობს.

შევვარდი სველი დარბაზში, ხალხი იცდის, ვცდილობ, თავი მოვიწესრიგო და სცენაზე ავიდე. შარვალიც და ფეხსაცმელიც სველი მაქვს, მაგრამ, თუ თითის წვერებზე არ დავდექი, წყალს არ უშვებს და ამიტომ არც ვიმჩნევ.

ეს ბარიერიც გადავლახე, ბოლოს და ბოლოს, მარა, აი, სცენაზე რომ ავედი და კარგად დამიწებულს მიკროფონიდან დენმა რომ მგლიჯა, თან პირდაპირ ტუჩებში, აი, მაშინ მივხვდი, რომ დღეს ჩემი დღე არ არის.

კარგად ვარ. ცოტა გამაჟრიალა.

პიანისტმა გიორგი გიგაშვილმა ესპანეთში გაიმარჯვა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლე გიორგი გიგაშვილმა ესპანეთის ქალაქ ვიგოში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა. მუსიკოსმა პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მოიპოვა.

გიორგი გიგაშვილს მიენიჭა სპეციალური პრიზიც, რომელიც დააწესა ცნობილმა პიანისტმა ნელსონ ფრეირმა – გიორგი კონცერტს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში გამართავს.

გიორგი გიგაშვილს პირველი პრემია ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო შემსრულებელმა, გენიალურმა არგენტინელმა პიანისტმა მარტა არგერიხმა პირადად გადასცა.

ქართველი პიანისტი ესპანეთში გამართული კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო.

გიორგი გიგაშვილი „ნიჭიერთა ათწლედის“ ემერიტუსის რევაზ თავაძის მოსწავლეა.

ბექა ადამაშვილი ევროპის ლიტერატურული პრიზის მფლობელი გახდა

ახალგაზრდა ქართველი მწერალი ბექა ადამაშვილი ევროპის ლიტერატურული პრიზის მფლობელი გახდა.

ბექა იმ 14 საუკეთესო დამწყებ მწერალს შორის მოხვდა, რომლებიც ამ პრიზისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შეირჩნენ.

ევროპის ლიტერატურული პრიზი დაწესებულია ახალბედა მწერლებისთვის, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურას საინტერესო სიახლეებს მატებენ.

მიხეილ ზაქარიაშვილი ხელისუფლებას აკრიტიკებს

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი ხელისუფლებას აკრიტიკებს და მისგან დავითგარეჯის თემაზე კონკრეტულ პასუხებს ითხოვს:

– უძველეს საქრისტიანო სამონასტრო კომპლექსს გართმევენ, საზღვრები გადმოლახეს ბულდოზერებით და მთელი „ხელისუფლება“ აცხადებს, ჟურნალისტებისგან გავიგეთ, რა ხდება დავითგარეჯშიო, პრემიერმინისტრის ჩათვლით!

მეტი რა დაცინვა და ღალატი გინდათ, ქართველებო, გამეცით პასუხი! რამ დაგაბეჩავათ ასე? რა მიშა და გრიშა აგიტყდათ, თქვე შობელძაღლებო, კომუნისტებიც კი არ იქცეოდნენ ასე, ფულსაც აკეთებდნენ და ქვეყანასაც უვლიდნენ! ღმერთო, მეტ რა სიკეთეს ელოდებით ამათგან? საქართველო გაბრწყინდება, ხო? ისემც თქვენი დედა მო.....ან მე! გაგიგიათ რომელიმე ქვეყანა, საზღვრების გადმოკვეთასა და უძველესი მართლმადიდებლური მონასტრის წართმევას უპირებდნენ და ჟურნალისტებისგან იგებდნენ ყველაფერ ამას? ჟურნალისტებმა უნდა დაიცვან საქართველოს საზღვრები და ხელისუფლება ზომებს არ იღებდეს? არც მოსახლეობას სცემდნენ პასუხს? ის მაინც თქვით, რომ გაყიდული გაქვთ გაზზე და ბენზინზე, სოკარმა შეისყიდა? ხტფუ, თქვენი ქართველობა დაიწვას, თქვენი! უჯიგროებო! ხელისუფლება ხართ თუ ფულისუფლება?!

თბილისში ელენე ახვლედიანის შემოქმედებას აყალბებენ

ცნობილი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის შემოქმედებას აყალბებენ.

ამის შესახებ ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ლევან თაქთაქიშვილმა გაავრცელა.

ინტერნეტში გამოჩნდა ელენე ახვლედიანის მიერ ნიკო ფიროსმანაშვილის „დახატული“ ნახატი, რომელსაც ლევან თაქთაქიშვილმა ყალბი უწოდა:

– აზრზე მოდით, ძმებო და მეგობრებო, თბილისში მოქმედებს ყალბისმქმნელთა ბრიგადა. აღარ არის ლაპარაკი ფიროსმანის ყალბი სურათების კეთებაზე, მელიაშვილსაც რომ გააკეთებ? ყველანაირ ფანტაზიას მიმართავენ.

ესეც ახვლედიანის სიყალბე. ესეც მაგალითი. ჯერ ნახეთ ორიგინალი და მერე ილაპარაკეთ. ფოტოდანაა გაკეთებული, ფოტო სამოციან წლებში „აღმოაჩინეს“. თვით ფოტოზე ფიროსმანის ან არის, ან არა.

მეორე ეჭვი: სად იყო ეს ფოტო აქამდე და წელი 1922 რატომ დააწერეს? ფასი მეტი რომ იყოს! რატომ უფრო ადრინდელი არ დააწერეს? რეკლამა კეთდება, რომ შემდგომ ვიღაცას შეატენონ.

თან დაუწერია ელენე ახვლედიანს, რომ ეს ფიროსმანაშვილია, ზედვე ჩანახატზე. დავაი რა! მანახეთ ასეთივე ღია ჩანახატი, წინ პოიასნიწლენი აღწერით სხვა ნახატი ახვლედიანისა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

მამაკაცმა ქალს ათი წლის წინ მოპარული საფულე დაუბრუნა



ბრიტანეთის ქალაქ კარდიფში მამაკაცმა ქალს დაუბრუნა საფულე, რომელიც მას ათი წლის წინ მოჰპარეს.

2009 წელს იმ დროს 18 წლის ბეკი მილსომი გაქურდეს: სანამ ძაღლს ასეირნებდა, მისი მანქანა გატეხეს და წაიღეს საფულე. შემთხვევის თვითმხილველებმა ბოროტმოქმედის შეჩერება ვერ შეძლეს. გოგონას იმედი არც ჰქონდა, რომ ოდესმე ნაქურდალს დაუბრუნებდნენ.

ათი წლის შემდეგ კი გოგონამ მიიღო ამანათი, რომელიც მამის მისამართზე მივიდა. მასში იდო მოპარული საფულე და საბუთები, ასევე წერილი, რომელშიც ვინმე ჯორჯი წერდა, რომ მილსომის ნივთები კარდიფის ჩრდილოეთ ნაწილში დასუფთავების სამუშაოების შესრულების დროს იპოვა.

– ეს შემთხვევა მაფიქრებინებს, რომ ქვეყანაზე კარგი ადამიანებიც არიან. ძალიან გამიმართლა, რომ ჩემი დაკარგული საფულე დამიბრუნეს. იმედი მაქვს, იღბალი არც მომავალში მიმატოვებს, – აღიარა მილსომმა და იმედი გამოთქვა, რომ ჯორჯს იპოვის და მადლობას პირადად გადაუხდის.

ქალს ვიწრო ბიუსტჰალტერის ტარებამ მკერდში ხვრელი გაუჩინა

ინგლისის ქალაქ ბრაიტონში ქალი 16 წლის განმავლობაში ვიწრო თეთრეულს ატარებდა, რამაც კისტის გაჩენა გამოიწვია.

51 წლის ლინ მაკონელი 2003 წლიდან 34GG-ს ზომის ბიუსტჰალტერებს ყიდულობდა და იცვამდა. მისი თქმით, ის ყოველთვის დისკომფორტს განიცდიდა მათი ტარების დროს, თუმცა გამყიდველები არწმუნებდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ ქალმა მკერდის შუა ნაწილში სიმაგრე აღმოაჩინა. მან მაშინვე სამედიცინო დაწესებულებას მიმართა. ექიმებმა ანტიბიოტიკები დაუნიშნეს, ჩათვალეს რა, რომ ჩირქგროვა ინფექციის შედეგს წარმოადგენდა. წამლებმა ქალს ვერ უშველა და აუტანელი ტკივილების გამო საავადმყოფოს მიაკითხა.

საგულდაგულო გასინჯვის შემდეგ ექიმებმა ქალს მკერდის არეში კისტა აღმოუჩინეს და ამოჰკვეთეს. ოპერაციის შემდეგ ქალს მკერდზე ღია ჭრილობა დარჩა, რომელიც ხვრელს წააგავდა. მის შეხორცებას სამი თვე დასჭირდა.

ქალი დაუკავშირდა იმ კომპანიის წარმომადგენლებს, სადაც ბიუსტჰალტერებს ყიდულობდა. მას უპასუხეს, რომ მათ პროდუქციას მომხდართან კავშირი არ აქვს.

თაღლითმა მამაკაცმა ქალს მთელი ქონება გამოსტყუა

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ალფარეტის მცხოვრებ ქალს თაღლითი მამაკაცი შეუყვარდა, რაც 80 ათასი დოლარის დაკარგვად დაუჯდა.

ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, 35 წლის აფერისტი ჯონ მარტინ ჰილი გაცნობის ვებგვერდზე 27 მარტს გაიცნო. იმავე დღეს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და ერთი კვირის შემდეგ დაინიშნნენ. მამაკაცმა ქალს თავი მილიონერად წარუდგინა. მან გულუბრყვილო ქალი დაარწმუნა, რომ ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ შექმნილი და ამიტომ სახლი უნდა ეყიდათ.

ქალმა მარტინ ჰილს მთელი თავისი დანაზოგი გადასცა, რის შემდეგაც თაღლითმა მასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და უკვალოდ გაუჩინარდა.

წინასწარი მონაცემებით, დამნაშავე ადრე ქალაქ დულუტში სხვა ქალთან და ბავშვთან ერთად ცხოვრობდა. გამოძიების დროს გაირკვა, რომ ჰილმა არც ისე დიდი ხნის წინ ბმვ-ს მარკის 2014 წლის გამოშვების ავტომობილი შეიძინა და შავად გადაღება. როგორც გაირკვა, თაღლითმა ბოლო 2,5 წლის განმავლობაში მინიმუმ ხუთჯერ მაინც შეიცვალა სახელი.

მამაკაცზე ვირჯინიის, დელავერის, მერილენდისა და ნიუ იორკის შტატებში ძებნაა გამოცხადებული. მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

ქალმა ავტომობილის ღირებულება 66 ტომარა ხურდა ფულით გადაიხადა

ჩინეთის ქალაქ ცანჩჟოუში ქალმა თავისი მანქანის ღირებულება 13 ათასი მონეტით გადაიხადა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ჩინელმა ავტოსალონში Wolkswagen Passat-ი შეუკვეთა, რომლის ფასი 190 ათასი იუანია. ქალმა გადაწყვიტა, მანქანის ღირებულება 66 ტომარა ხურდა ფულით გადაეხადა. მისი თქმით, მისთვის უფრო ადვილი იყო დაგროვილი ფულის ადგილზე მიტანა, ვიდრე მისი ბანკში შეტანა. ათი წლის განმავლობაში ის მანქანის შესაძენად მცირე თანხას აგროვებდა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ითვლიან მონეტებს ავტოსალონის თანამშრომლები, იატაკზე კი უამრავი მონეტაა დახვავებული. ისინი მონეტებს სპეციალურ ტომრებში აწყობენ, რომლითაც შემდეგ ბანკში მიიტანენ. ავტოსალონის დირექტორ ცზიაოს თქმით, 17 თანამშრომელს მთელი თანხის გადასათვლელად სამი დღე დაჭირდა.

საბოლოოდ ქალმა ავტომობილში 131.492 იუანი ნაღდი ფულით გადაიხადა, ხოლო დანარჩენი თანხა ელექტრონული ბანკით გადარიცხა.

მშობლების დაუმორჩილებლობამ ბავშვს ოჯახი გადაარჩენინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსში მოზარდმა მშობლების მოთხოვნა ყურად არ იღო და შედეგად თავისი ოჯახი ხანძრისგან გადაარჩინა.

ოსტინი მშობლების მოთხოვნით დასაძინებლად უნდა დაწოლილიყო, თუმცა ამის მაგივრად ვიდეოთამაშით ერთობოდა. როდესაც ყველამ დაიძინა, მოზარდმა დამწვრის სუნი იგრძნო. ამ დროს სახანძრო სიგნალიზაცია ამუშავდა და ბავშვების ძიძა გააღვიძა.

ის ოთახიდან გამოვარდა და დაინახა ოსტინი, რომელიც ყვიროდა, რომ ხანძარი იყო. ბიჭმა ცეცხლის ალი ძმის ოთახში შენიშნა.

– ის მიყვიროდა: „ცეცხლმაქრი მოიტანე, ახლავე მოიტანე“, მე კი არ ვიცოდი, სად იყო და ძალიან შევშინდი, – აღიარა ძიძამ.

მაშინ ოსტინმა თავისი ძმებისა და დების გარეთ გაყვანა დაიწყო. მან სახლიდან ოთხი ბავშვი ადგილზე სახანძრო დახმარების მისვლამდე გამოიყვანა. მეხანძრეებმა ცეცხლის ჩაქრობა რამდენიმე წუთში შეძლეს. სავარაუდოდ, ხანძრის მიზეზი მინიმაცივრის კომპრესორის გაუმართაობა გახდა.

ბავშვების მშობლები შვებულებაში იყვნენ, როდესაც დაურეკეს და მომხდარის შესახებ აცნობეს. ოსტინის დედის, ჯენი უესტის თქმით, შვილის საქციელმა გული აუჩუყა და თვალზე ცრემლები მოადგა. ის თვლის, რომ მისი შვილი ნამდვილი გმირივით მოიქცა.

ინგლისის პლაჟზე უზარმაზარი მედუზა იპოვეს



ინგლისის ქალაქ ჰეილის ზღვისპირა პლაჟზე უზარმაზარი მედუსა აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

73 წლის კენ ტაუნენდი ძაღლს ასეირნებდა, როდესაც ქვიშაზე რაღაც უცნაური შენიშნა. ახლოს მისვლის შემდეგ მიხვდა, რომ ეს მკვდარი მედუზა იყო. ტაუნენდის თქმით, მედუზა იმდენად დიდი იყო, რომ ადრე მსგავსი არაფერი უნახავს.

ზღვის ამ არსებას კასრისებურ მედუზას უწოდებენ. მათმა ზომამ დიამეტრში შესაძლოა 90 სანტიმეტრს მიაღწიოს, ხოლო წონამ – 35 კილოგრამს. ჩვეულებრივ,ისინი ღრმა წყლებში ბინადრობენ, თუმცა დათბობის გამო საკვების მოსაპოვებლად სანაპიროსთან გადმოინაცვლეს. მედუზის ეს სახეობა ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7802

ევრო — 3.1102

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5275

100 რუსული რუბლი — 4.3044

ამინდის პროგნოზი 27 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

30 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ორი ხანშიშესული მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ასაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ... მე ჯერ კიდევ საკმაოდ მხნედ ვარ. საკმარისია, ერთი დავუსტვინო და ქალები ჩემს ფეხებთან გაერთხმევიან!!!

– რას მეუბნები, მართლა?! აგერ, ნახე, რა მშვენიერი ქერათმიანი ქალი მიდის!..

– გივი!.. მე საკუთარ შესაძლებლობებს საღად ვაფასებ... ამ თვეში ერთხელ უკვე დავუსტვინე!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა?

– რა და... თავს დამესხა, ფული წამართვა, გამაუპატიურა...

– თუ დაიმახსოვრე, ვინ იყო?

– საკუთარ ცოლს რა დამავიწყებს...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სახელმწიფომ გამოაცხადა, რომ ღარიბების რაოდენობას აუცილებლად შეამცირებს.

– რა, დაგვხოცავენ?!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– რატომ არ თხოვდები, რა, პრინცს ელოდები თეთრი „ლექსუსით“?

– არა... მთავარია, რომ კარგი ადამიანი იყოს, ხოლო „ლექსუსის“ ფერს მნიშვნელობა არ აქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შვედეთში შვილისთვის ვეგეტარიანელობის დაძალებისთვის მშობლები დააპატიმრეს

შვედეთში ციხეში ჩასვეს მშობლები, რომლებიც თავიანთ გოგონას ვეგეტარიანელობას აძალებდნენ.

ქალაქ გიოტებორგის სასამართლომ ბავშვის დედასა და მამას სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა. პოლიციისთვის ოჯახის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გოგონა საავადმყოფოში აღმოჩნდა. წლინახევრის ბავშვის წონა ექვს კილოგრამზე ნაკლები იყო, მაშინ როდესაც ნორმა ცხრა კილოგრამია. ექიმებმა მას უკიდურესი ნორმფიტვა და ვიტამინების მწვავე ნაკლებობა დაუდგინეს. მშობლებმა განაცხადეს, რომ ბავშვი ძუძუთი კვებაზე იყო და მას ასევე აძლევდნენ ბოსტნეულს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ის მოსავლელად სხვა ოჯახს გადასცეს.

ანტილოპამ ნიანგის ყბებიდან თავის დაღწევა მოახერხა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ნიანგის თავდასხმას ანტილოპა სასწაულებრივად გადაურჩა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ შეუმჩნევლად ეპარება ნიანგი ანტილოპას, რომელიც ნაპირზე ისვენებს და შემდეგ ყბებს ფეხში ჩაავლებს. სხვა ცხოველები მის დასახმარებლად რეპტილიის ყურადღების მიპყრობას შეეცადნენ.

ანტილოპამ ნიანგს რამდენჯერმე ურქინა. რეპტილიამ მას ყბების გაუშვა და ცხოველმა მისგან თავის დაღწევა შეძლო. ის კოჭლობით გაეცალა თავდასხმის ადგილს.

ინციდენტი ვიდეოზე 73 წლის მაიკ ჯონსონმა გადაიღო. მისი თქმით, ნიანგი მთელი ძალით ცდილობდა ანტილოპის წყლის სიღრმეში ჩათრევას. მან ამ შემთხვევას გადარჩენისთვის ნამდვილი ბრძოლა უწოდა.

მამაკაცმა პრემია კაზინოში დახარჯა და გამდიდრდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა თავისი პრემია ლატარიის ბილეთების შეძენასა და კაზინოში თამაშზე დახარჯა და ორჯერ გახდა გამარჯვებული.

48 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, კვირა დღეს მუშაობისთვის მცირე პრემია მიიღო და გადაწყვიტა, მეუღლესთან ერთად კაზინოში წასულიყო. გზად წყვილმა ორი ცალი ლატარიის ბილეთიც შეიძინა.

კაზინოში შესვლა მათთვის წარმატებული აღმოჩნდა და წყვილმა 300 დოლარი მოიგო. მოგვიანებით ლატარიის ბილეთები შეამოწმეს და ერთ-ერთმა მათ 300 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– პირველი აზრი, რომელმაც თავში გამიელვა, იყო: „სახლის ფულს გადავიხდი!“ – განაცხადა მამაკაცმა.

ამერიკელი მოგებული თანხით სახლის დავალიანების გასტუმრებასა და ახალი ავტომობილის შეძენას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნადირაძემ მსოფლიო თასის ეტაპი მოიგო

პოლონეთში მიმდინარე მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე ქართველმა კანოისტმა ზაზა ნადირაძემ პირველი ადგილი დაიკავა.

პოზნანში ჩვენებურმა 200-მეტრიანი დისტანცია 39.191 წამში დაფარა და ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა. მეორე ადგილზე ყაზახეთის წარმომადგენელი ტიმურ ხაიდაროვი გავიდა, ხოლო მესამეზე – ბელარუსი არსტენ კოზირი.

შემდეგი ეტაპი დუისბურგში გაიმართება 31 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით. მსოფლიო ჩემპიონი სპორტსმენის მიერ ყველა შეჯიბრებაზე დაგროვებული ქულებით გამოვლინდება.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი

თარაზულად: 6. ზღვის ხრტილოვანი თევზი; 7. მოღალატე, განდგომილი; 8. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე; 10. გერმანული ავტომობილი; 11. ქამა სოკო; 13. შრომის ფულადი გასამრჯელო; 16. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 19. ხელსაყრელ პირობათა ერთობლიობა; 20. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული.

შვეულად: 1. ურანის თანამგზავრი; 2. უქოჩრო თუთიყუში; 3. ამერიკული სამეჯლისო ცეკვა; 4. ძველბერძენი დრამატურგი (448-397 წწ.); 5. თვითმფრინავის კორპუსი; 9. ოფიცრის წოდება არმიაში; 12. იტალიური კოქტეილი; 14. ძე, რომელმაც დედა მოკლა (ბერძნული ეპოსი); 15. ნაოსნობისთვის სახიფათო წყალქვეშა კლდე; 17. აშშ-ის მუსიკალური პრემია; 18. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში.



შეადგინა ოლივერ კოხიამ

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ЦОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИЗАН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ВЭЙ ФУ ДИ ЖУАНЬ ЗАН + СУН СЯО

აუმჯობესებს პოტენციას



ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/